ПРОЛЕТАРЕБО, УПАЗЕ ДЗУЕЛА ДЗУЕЛЕНІА, ШЕДЕНОЕНІТ

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

САЗ. Д. Ж. (Б) ЦЕНТРАЛУРИ КОМИТЕТИС, თბილისის КОМИТЕТИСА ДА САЗ. ГЕРА ШРОМАТА ДЕПУТАТЕБІС САБЧОТА ОРГАНО

ХУТИ
15 ІВНІСИ
1941 Б.
№ 139 (6144)
ФАСИ 15 КАП.

5371
საბჭოთა ... ბიბლიოთეკა

ორგანიზებულად მოვაწყოთ უმაღლეს სასწავლებლებში მიღება

საშუალო სკოლებში გამოცდები უკვე მთავრდება. საბჭოთა მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ნაკადი რამდენიმე თვის შემდეგ შეაფსებს ჩვენი სახელმწიფოს ეროვნი არმიის რიგებს, მეორე ნაკადი კი მიაშურებს უმაღლეს სასწავლებლებს.

საბჭოთა ახალგაზრდის წინაშე, რომელმაც დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლეს სასწავლებლებში შედის, დგება მისი ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი. ეს არის პროფესიის არჩევა. ვინ უნდა იყოს იგი, რა სპეციალობას აირჩევს ამჟამად, სოციალისტური შშენებლობის რა უბანზე იმუშავებს მომავალში.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე გაშლილია ფართო ჰორიზონტი, ყოველი გზა მისთვის გახსნილია. მისთვის არ არსებობს საშუშაოს ძებნის პრობლემა, მისთვის არ არსებობს შიში მომავალისადმი. სწავლის უფლება, ჩაწერილი სტალინური კონსტიტუციაში, მოპოვებულია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უფროსი თაობის მიერ. ჩვენმა ახალგაზრდობამ მხოლოდ უნდა ამორჩიოს პროფესია თავისი მიდრეკილებისა და უნარის მიხედვით, ამორჩიოს სოციალისტური შშენებლობის ის უბანი, სადაც მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია მას თავისი სამშობლოსათვის.

მაგრამ პროფესიის არჩევისას ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა უნდა გამოდიოდეს არა მარტო თავისი პირადი ინტერესებიდან, — მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ინტერესები. თვითეული ახალგაზრდა უნდა მისწრაფოდეს, ისეთი კვალიფიკაციის შეძენისაკენ, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ამ მისწრაფებაში მეღავნდება სოციალისტური სამშობლოს პატრიოტის მოვალეობის მაღალი შეგნება, პატრიოტისა, რომლისთვისაც სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე მაღლა დგას.

ჩვენს სამშობლოს ესაჭიროება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ეკონომიკისა და კულტურის ყოველ დარგში. ყოველი პროფესია ჩვენთვის საჭიროა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შეიძლება სამე თვითფინანსის მიგანდოთ. „სოციალისტური მეურნეობა იზრდება და ვითარდება ზუსტად გეგმის მიხედვით. ამიტომ ყოველი, თუნდაც ოდნავი შეუფარდებლობა სპეციალისტებზე მოთხოვნასა და მათ მომზადებას შორის შეუწყარებელია“ („პრავდა“). ამიტომ საჭიროა პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას ისეთი ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების დაკომპლექტება, რომელთა სპეციალობა უფრო მეტად საჭიროა ჩვენი სოციალისტური შშენებლობისათვის. არ უნდა მოხდეს ისე, რომ სპეციალობის ერთ დარგს მიაშუროს ახალგაზრდობის ჯარაბმა ნაწილმა, მეორე დარგში კი ვაკანტური ადგილები დარჩეს.

უმაღლესმა სასწავლებლებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ ახალგაზრდობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა თავისი დარგების პოპულარიზაციისათვის. უმაღლესი სასწავლებლები უნდა დაეხმარონ ახალგაზრდობას პროფესიის შეგნებულად არჩევაში. ამ მხრივ ნაცად საშუალებად ცნობილია ეგრეთწოდებული „ღია კარების დღეები“. ასეთ დღეებში ახალგაზრდობა ახლოს ეცნობა ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკას, მის სამუშაო კაბინეტებს, ლაბორატორიებს, იმართება საუბრები პროფესორებთან ამა თუ იმ ფაკულტეტის მიზნების შესახებ და სხვ.

უმაღლეს სასწავლებლებს მრავალი სხვა საშუალებაც მოეპოვებათ ახალგაზრდობაში თავიანთი დარგის პოპულარიზაციისათვის: ცნობარების დაგზავნა საშუალო სკოლებში, რადიოთი საუბრები, თავიანი სტუდენტების შეხვედრის მოწყობა საშუალო სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლეებთან, მათთან საუბრებისა და მოსსენებების ჩატარება, ინდივიდუალური წერილების გაგზავნა და სხვ.

ამ მხრივ საინტერესოა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოცდილება. ისინი ინდივიდუალურ წერილებს უგზავნიან საშუალო სკოლების გამოსაშვები კლასის მოსწავლეებს, ხსნიან მოსაზმადებელ კურსებს, ფართო პოპულარიზაციას უწევენ სხვადასხვა პროფესიებს — აგრონომია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ზოოტექნია და სხვ. ასეთსავე საშუალებებს მიმართავენ სხვადასხვა სპეციალობის ინსტიტუტები და ფაკულტეტები. ისინი არ ელოდებიან იმ მომენტს, როდესაც მათ თვითონ ახლოდ-კულსდამავრებულნი მიაკითხავენ.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო კომისარიატები, მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობა უნდა დაეხმაროს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას მისთვის ამ გადამწყვეტ მომენტში, პროფესიების ამორჩევაში, უნდა დაეხმაროს ყოველ ახალგაზრდას, ქალს თუ ვაჟს. პროფესიის ამორჩევას. შემთხვევითი ნასაფი არ უნდა ჰქონდეს.

გარდა პროფესიის არჩევაში დახმარებისა, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა სპბრძოლო ამოცანაა მისაღები გამოცდები, რაც იწარმოების 1-დან 20 აგვისტომდე, ჩატარებულ იქნას ორგანიზებულია უზრუნველყოს მიღების ორგანიზებულობა და ახალი სასწავლო წლის სამაგალითოდ შეხვედრა.

საბჭოთა ახალგაზრდობას მხურვალედ უყვარს სოციალისტური სამშობლო. მისთვის წმინდათა-წმინდა საქმედ თვლება მხოლოდ ის მოვალეობა, საიუველაც მოუწოდებს მას სამშობლო—იქნება ეს ბრძოლა მტრთან, დაუღალავი შრომა თუ შეუპოვარი სწავლა. უმაღლეს სასწავლებლებში მოსულ ახალგაზრდობას სამშობლო მოუწოდებს დაუფლოს პროფესიებს, ისწავლოს ფრიადზე, ისწავლოს სერიოზულად, რათა მრავალმხრივ განათლებულმა და ღრმა ცოდნით შეიარაღებულმა საბჭოთა ადამიანმა, მაღალკვალიფიციურმა საბჭოთა სპეციალისტმა იბრძოლოს სოციალისტური სამშობლოს კიდევ უფრო აყვავებისათვის, მისი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

15 ІВНІСІС ДЗІНДІАРТОБА ДЗІРУШАДЗЕВІРІДЕ-ХОМДІАДЗЕВІРІДЕ ДЗІРУЛІ

ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების ათასობით ფიზკულტურეელი გამოვა 15 ივნისს მსობრივი პრაფკავშირულ - კომკავშირული კროსის სტარტზე.

მოსკოვში პირველსავე დღეს მარტო სოკოლნიკის ცენტრალურ ბაზაზე კროსში მონაწილეობის სერვიალი განაცხადა 33.000 კაცმა. დედაქალაქში კროსი ჩატარდება 45 ბაზაში, რომლებიც მოწყობილია სასპორტო საზოგადოებათა მიერ.

ლენინგრადში წინასწარი გარბენის სტარტზე უკვე გამოვიდა დაახლოებით 100 ათასი კაცი.

13 ივნისი (საკდესი).

ДАЗВІІІІІ ДЗІРУАЛОТА ДІРІІІІІ ЧІРІІІІІ ЧІРІІІІІ

РІІІІІ, 13 ივნისი (საკდესი). ხეალ, დილით, სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში მუშაობას იწყებს ლატვიის საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი ყრილობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რიგაში ჩამოვიდნენ: ამბ. ფადეევი, ასკეინი, ლებედევ-კუმაჩი, კორნეიჩუკი, ილეკა კუპალა, ზოშჩენკო, ტიხონოვი, პროკოფიევი, ცვეტაკა და მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, კარელია-ფინეთის სსრ, ლატვის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და სხვა რესპუბლიკების მწერლები და პოეტები.

დღის მწერალთა კლუბში გაიხსნა ლატვიური წიგნის გამოფენა. ლატვიის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ყრილობისათვის ლატვიურ ენაზე გამოუშვა კრებული „ბორკი და ლიტერატურა“. რიგაში მოხდება მშრომელთა შეხვედრა ლატვიის მწერლებთან და მოიმარ რუსპუბლიკებიან ჩამოსულ სტუმრებთან.

სსრ კავშირის პირველობაზე მასობრივი დაუსწრებელი შეჯიბრები ავიაციაში

13 ივნისს ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველო - საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა დებულება სრულიად - საკავშირო ინდივიდუალური და საგუნდო დაუსწრებელი შეჯიბრებისა ქალაქობიაში. ეს შეჯიბრება 17 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე ჩატარდება ადგილებზე ისე, რომ ფიზკულტურელები არ მოსწყდებიან სამუშაოს და სწავლას.

ქალაქობიაში სსრ კავშირის პირველობის მსაპოვრელად გამარეულ შეჯიბრებაში დაშვებული იქნებიან სოფლების, მუშათა დაბების, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურული კოლექტივთა, საკავშირო საზოგადოებათა შეჯიბრებაში და პირველობის გათამაშებაში გამარჯვებული გენდება.

გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება სსრ კავშირის 1941 წლის ჩემპიონობა ქალაქობიაში. იგი დაჯილდოებულ იქნება ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს საკავშირო კომიტეტის გარდამავალი პრიზით, ალმით და პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო ამ გუნდის მოთამაშენი — სახელოვანი ტიტრებით. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მიიღებს 1941 წლის ჩემპიონის სახელოვნებას ქალაქობიაში. პირველი ხარისხის დიპლომს, სსრ კავშირის ჩემპიონის მაისტრას და სახელოვანტიტრ ტიტონს. (საკდესი).

ДІРІІІІІ ЧІРІІІІІ ЧІРІІІІІ ТОЛАВІІІ („კომუნისტის“ კორ).

სოფ. გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სწარმოებს ქერის აღება. მოსავალი კარგია. სათესლე ნაკვეთიდან საშუალოდ ჰექტარზე აღებულია 28,6 ცენტნერი ქერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა. შეიფერხებლად მუშაობს კომბაინი, რომელსაც კომბაინერი თედო ჯაკაშვილი მართავს.

ДАЗАМТАВІРА МУШАОБА САКАРТВЕЛОС ССР МЕЦНІЕРІЕБАТА АКАДЕМІІС САЗАРДЗОБІТ ДА МЕЦНІЕРІЕБАТА ДАНДЕЧІЕРІЕБІС ДАЗАМТАВІРА

13 ივნისს, საღამოს სხდომით ამოწურა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესიის დღის წესრიგი და სესიიან მუშაობა დაამთავრა.

სესიის ამ ბოლო სხდომაზე მოსმენილ იქნა აკადემიკოს ა. შანიძის მეტყველ სანტერესო მოხსენება ბასოდიფელი ხმოვნების შესახებ ქართულში. ამ საკითხის შესწავლას, მის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ენის განვითარებისა ისტორიისათვის. საქმე ის არის, რომ ქართველში ხშირად გვხვდება ხმოვნები „ა“ და „ო“, რომლებიც არც სიტყვის ფუძეს ეკუთვნიან და არც რაიმე გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ. ეს ხმოვნები გვხვდება სიტყვების ბოლოს. განსაკუთრებით ხშირია ეს პროსოდიული ხმოვნები ხალხური პოეზიის ნიმუშებში. პომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ხმოვნების წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივი და სხვა სახის ფალიდან-სიმღერათა სიტყვების გაგრძობილად წარმოთქმაში. რაზედაც მიგვითითებს დღემდე შემონახული გაგრძელება სიტყვებისა ქართულ საეკლესიო საგალობლებსა და სვანურ ლეკსებში.

ბოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ, პროფ. ვ. თოფურიამ და აკადემიკოსმა გ. ახალდიანმა. მოკამათეებმა მოხსენებას მაღალი შეფასება მისცეს.

შემდეგ სესიიაზე გაიხსნა კამათი წინაღდეგ აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის მიერ გაკეთებული მოხსენების ირგვლივ. აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის მოხსენებაზე — „ქართული ოქრომჭედლობის თავისებურობის საკითხისათვის მეათე-მეთერთმეტე საუკუნეთა მიჯნაზე“ ავრი გამოსვლენენ პროფ. შ. ამორაშვილი და პროფ. ფ. გორგიძე. ოპონენტებისათვის მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ აკად. გ. ახალდიანმა წარმოსთქვა დასკვნითი სიტყვა და აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის მოხსენება შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანი შენაძენი საქართველოს ხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

საინტერესო იყო ენის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლის შ. ძიძიგურის მოხსენება სონინმერი პარალელიზმების ცნების შესახებ.

არ არსებობს ისეთი, ენა, რომ არ საჭიროებდეს ბეზმიერი ენებიდან სიტყვების სესხებას. რამდენადაც ენა კულტურულია, რამდენადაც იგი განვითარებულია, მით ნაკლებად საჭიროებს უცხო ენათაგან სიტყვების სესხებას და პირიქით. სინონიმური პარალელიზმის შემთხვევები ამა თუ იმ ენაში მაშინ გვაქვს, როდესაც უცხო სიტყვა იჭრება ენაში, თუმცა ამ უცხო სიტყვა ენის ცნების ექვივალენტი ამ ენას მოუპოვება. ამგვარ შემთხვევაში უცხო სიტყვის გავრცელებას და დაწერგვას ერთერთი მეთოდია ენის შინაგანი საჭიროება, უცხო ფორმისა და მისი ადგილობრივი ექვივალენტის პარალელურად ხმარება, ვიდრე ახალი სიტყვა ფუხს მოიკიდებდეს. მაგალითად, ქართველში შემოიჭრა უცხო სიტყვა „ლიბალი“ (არაბული) და ახლა ზმირად ხმარობენ „ლიბალს“, „ბედის“ ცნების აღსანიშნავად და ან ორივეს ერთად „ბედ-ლიბალი“. ამას ეწოდება სინონიმური პარალელიზმი. სინონიმურ პარალელიზმს ქართულში ორგვარი შეხმება აქვს — კავშირიანი („მეტრობი და მომღერაი“, „დრო და ჟამი“, „ბარტველი და მოწამე“) და უკავშირო („სახლი, მენი“, „ზენაარი, ფიცი“ და სხვ.).

მოხსენების შესახებ აზრი გამოსთქვეს აკადემიკოსმა გ. ახალდიანმა და პროფ. ვ. თოფურიამ.

დიდი ინტერესით მოისმინა სესიამ დოცენტ ილ. ბაფლაძის მოხსენება სომეხ-ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. მოხსენების თემა იყო — „იაკობ ცურტაველის თხზულება, როგორც ერთერთი წყარო ამარინ ვანანდეველისა“. მომხსენებელმ დიდი კვლევითი მუშაობა ჩაუტარებია სომხეთი ხელნაწერების ერეკნის ფონდების შესასწავლად. მეათე საუკუნის დამდეგს, ერთერთ სომეხ ისტორიკოსს ამარინ ვანანდელს დაუწერია შრომა — „მცნეთის ჯვრის ისტორია“ და ამ შრომის დაწერისას გამოიყენებია ქართული ხელნაწერი. ამ შრომის ხელნაწერი ინახება იერუსალიმის, ვენეციისა და ერევნის სომხური ხელნაწერების ფონდებში. ამ ნაპოვნი ძეგლის შესწავლამ ილ. ბაფლაძე დაარწმუნა, რომ ამარინ ვანანდელს უსარგებლია ქართული წყაროთი, სახელდობრ იაკობ ცურტაველის თხზულებით „მარტვილობაი შუშანიკისი“.

ამ ფაქტით მტკიცდება, რომ უსაფუძვლოა უცხოელი მეცნიერის პეეტერსის მტკიცება, თითქოს იაკობ ცურტაველის ეს თხზულება ეკუთვნოდეს არა მეხუთე, არამედ XI-XII საუკუნეებს, და რომ სავსებით მართალი იყო აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ალ. პეეტერსთან დავაში. ამარინ ვანანდელის შრომა მოწმობს აგრეთვე, რომ ჯერ კიდევ მეცხრე-მეათე საუკუნეებში ქართველ და სომეხ ლიტერატურულ წრეებს შორის ჭეშდრო მეზობლური ურთიერთობა და მეგობრობა იყო.

დოც. ილ. ბაფლაძის მოხსენებას სესიამ მაღალი შეფასება მისცა. სესიის დახურვის წინ სესიის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა გ. ახალდიანმა.

ГАРМАЗЕБІТ ДАЗАМТАВРОТ АХАЛ СЕСІСЕБІ ХЕЛІС МОЗЕРА

АХАЛІ СЕСІСІС ГАЗАРЧІЕРЕБА САКАРТВЕЛОСА

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობებით, 13 ივნისს საღამოსათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხმა (მეოთხე წლის გამოშვება) ხელის მოწერის თანხა 189.817 ათას მანეთს შეადგენდა. აქედან ქალაქად—152.783 ათას მანეთს, სოფლად—37.034 ათას მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის მთელ რესპუბლიკაში სესხზე ხელი მოწერილი იყო 163.595 ათასი მანეთის რაოდენობით.

მთელს რესპუბლიკაში სოფლად სესხზე ხელმოწერილი თანხიდან 8.367 ათასი მანეთი უკვე განაღდებულია.

ქ. თბილისში 14 ივნისს, ღამის 10 საათისათვის, სესხზე ხელმოწერის თანხა 62.916.530 მანეთს შეადგენდა. აქედან ბერიას რაიონში —16.279.470 მანეთს, სტალინის რაიონში—10.838.845 მანეთს, 26 კომისრის რაიონში—10.097.070 მანეთს, კროოვის რაიონში—6.719.265 მანეთს, ლენინის რაიონში—6.573.900 მანეთს, ორჯონიკიძის რაიონში—6.330.495 მანეთს, მოლოტოვის რაიონში—6.077.485 მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის თბილისში ხელმოწერის თანხა 56.667 ათას მანეთს შეადგენდა.

ახალ სესხზე ხელის მოწერა მთელს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს.

АХАЛІ СЕСІСІС АНАРІЧІСЕБІ ДЕДГІОРОБРІВ ВІПУЖДЕБІСАТВІС

შემნახველი სალაროების მთავარმა სამმართველომ წინადადება მისცა ყველა შემნახველ სალაროს დაარეკლოდეს გადასცენ ადგილობრივ ბიუჯეტში მესამე ხუთწლედის სესხისაგან (მეოთხე წლის გამოშვება) შემოსული თანხების ანარიცხები.

სსრ კავშირის უმაღლესი სბჭოს VIII სესიის მიერ მიღებული კანონის თანახმად, ანარიცხები უნდა გადაიდოს შემდეგი ოდენობით: ამ სესხის თანხიდან, რომელიც გავრცელებულია მოშა-მოსამსახურეებსა და ჭალაკის სხვა მოსახლეობას შორის, — 25 პროცენტი მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში, რათა აქედან 15 პროცენტი ადგილობრივ ბიუჯეტებს გადაეცეს. იმ სესხის თანხადან, რომელიც გავრცელებული ყოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის, მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გადასაცემად გადაირიცხება 90 პროცენტი.

შემნახველ სალაროებს წინადადება მიეცათ ადგილობრივ ბიუჯეტებს ანარიცხები გადასცენ თვეში 3-ჯერ, სესხის სახსრების შემოსავლის დაკვალად.

იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) სოფლის მოსახლეობის ხელმოწერის ანგარიშში უკვე შემოვიდა 245 მილიონი მანეთი, შემნახველმა სალარობებმა უახლოეს დღეებში ადგილობრივ ბიუჯეტებში დაახლოებით 220 მილიონი მანეთი უნდა გადარიცხონ. (საკდესი).

ЗАНСІЕБІ ШЕЗЕЗІТОІС ГАРІЛОЕБІ

ღამით ატეხილმა განგაშმა №-ის ნაწილის ბანაკი ფეხზე დააყენა. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ ჩამქალდარნენიანი მანქანები „მტრის“ შესახვედრად მიაქანდნენ...

ტანკების ოფიცერ ლეიტენანტ კოლეცოვის მეთაურობით ეარაჯიმის რაიონში გათენებისას მივედა. წინ ბადაშლილი იყო ლიშნარინი დაფარული ბორცვიანი ადგილი. დაბლობში ჯოთი მოსჩანდა.

თავდაცველებმა მოხერხებულად გამოიყენეს და გაამაგრეს ბუნებრივი დაბრკოლებანი; ამოთხრეს ღრმა ორმოები, მოაწყეს ბომკინტები, მავთულის ხლართოს ხაზები, გზა, რომელიც ამ ვადიოდა, ქვებით ამოხერგეს, „დანაღეს“.

ლეიტენანტი კოლეცოვი დასაზვერავად გავიდა. მასთან ერთად გაემართნენ იმ ქვედანაყოფების არტილერისტი, ქვეითი და მესაჯარე მეთაურები, რომლებიც ტანკისტებთან ერთად შეტევაზე გადადიოდნენ. დაიზუსტეს მოქმედების გეგმა, შეთანხმდნენ პირობითის სიგნალებზე.

დილის 8 საათზე მანქანები წინ დაიძრნენ. ისინი მიხეიულ-მოხეიულ ადგილს ეფარებოდნენ, ბეერდს უკლიდნენ ბომკოლებებს და, ამგვარად, უახლოვდებოდნენ „მტრის“ სამაგრებს. ტანკებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ქვეითები. წინაალმდეგობის თვითეულ პუნქტს, ეკანის გაფფორებით იცავდნენ თავდაცვის ქვეთანაყოფები. ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია და მანქანების გაჩერება მოუხდათ — წინ ამოთხრილი იყო დიდი ორმო. ლეიტენანტმა კოლეცოვმა სიგნალი მისცა არტილერისტს, რომელიც ტანკისტებს ეხმარებოდა.

ამეტყველენენ ქვემეხები:

წინ გაიჭრნენ მესაჯარეები, რომლებსაც არტილერია იცავდა. აფეთქების შედეგად მიწის კოლეხიები და ქვები ჰაერში ცვიოდა. მუხლუხების რახარეხთან ერთად ჯასრიალდნენ წინ ტანკები, რომლებიც სლეივდნენ ორმოებს, ბომკინტებს, „დანაღეულ“ „მწყობრიდან“ გამოვიდა“. მის მუხლუხებში „ნაღმი“ აფეთქდა.

ქვეშეხების მარჯვე სროლამ, მესაზარეთა და ქვეითთა უნარიანმა მოქმედებამ დახმარება გაუწია ტანკისტებს წინ წაწყნიათ. ისინი ჭაობს წაწყდნენ და კვლავ გაჩერება მოუხდათ. მესაზარეებს განუწყვეტლივ უშინდა „მტერი“, რომელიც შეტევაზე გადასულთა არტილერიის მოქმედებით მიწაზე იყო გახართხული, მაგრამ მათ მაინც შესძლეს სარეზე ხიდის დაგება. ტანკებმა ჯობინინი აღგილი განვლეს, სისწრაფეს უმატეს და „მტრის“ უკანასკნელი სამაგრეები გაარღვიეს... ბაისმა ბრძოლის შეწყვეტის სიგნალი.

ასე სწავლობდნენ და ამოწმებდნენ პრაქტიკულად შეტევითის ბრძოლაში ბერილ ქვედანაყოფთა ურთიერთმოქმედების კანონებს. ტანკები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ქვეითები. წინაალმდეგობის თვითეულ ეზრუნველყოფდა შეტევას. მესაზარეები, რომლებსაც ტანკები იცავდნენ, იერიშზე გადასულ მსროლელთა ათეულების დამბარებით სპობდნენ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ ნაწილების წინსვლას.

...მეზობლად მდებარე პოლიგონზე ტანკისტების ქვეთა ჯარისთან ერთად მიაქონდათ ინერმენი სამაგრეზე. პირველნელ პოზიციაზე შენიღბული ტანკები წინ გაიჭრნენ. ტანკების შემდეგ — ზოგი სარბილით, ზოგი მიწაზე ხოხვით — მიიწევდა ქვეითი ჯარი. როდესაც შემტევნი ბომკინტების ხაზებს მიუახლოვდნენ, ჰაერში წოთელი შუშენა ავარდა, ხოლო არტილერიამ მაშინვე გადაატანა ეცცხლი გამაგრებული რაიონის სიღრმეში. ყეთელი შუშხენის სიგნალის შემდეგ მანქანები ეერიშზე გადაეიჭრნენ. ტანკის წამყვანმა ამბ. სარსაბერიძემ პირველმა ესროლა ბომკინტებს. მოძრაკი ლიფონის მძიმე მასამ დაანგრია დაბრკოლებათა ორი ხაზი და გაჩერდა. ტანკმა უკან დაიხია და კვლავ, როგორც კედელსანგრეი ძელი, დაეტაკა ბომკინტების მეორე რიგს. ამგვარად მიქმედებდნენ დანარჩენი ტანკებიც. ისინი არ ერიდებოდნენ ქვის ბოძებსა და მავთულის ხლართებს. ტანკების შემდეგ ბრძოლით მიიწევდნენ ქვეითი ჯარის ნაწილები. „ყუმბარის“ პირდაპირმა მოხვედრამ მწყობრიდან გამოიყვანა წამყვანი-მექანიკოსი სარსაბერიძეი. სამეს მიუჯდა კოშტარის მსროლელი სოლოდენი. გეერდით მიმავალმა მანქანებმა აღმოაჩინეს პატარა, კარგად შენიღბული სიმაგრე და, დახურეს რა მისი ამბრაზურები, სროლა აუტეხეს „მტრის“ წინააღმდეგობის ჯერ კიდევ გადარჩენილ პუნქტებს. ქვეითი ჯარის ნაწილმა განამტკიცა მიღწეული წარმატება.

სიმაგრის აღების შემდეგ ვარჯიშობა დამთავრდა.

13 ივნისი (საკდესი).

ГАРМАЗЕБІТ ХАЗАЗАРОТ МАСОБРІВІ ПРОФКАВШІРУЛ-КОМКАВШІРУЛІ КРОСІ

მასობრივი პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის მომზადებისა და ჩატარების ხელმძღვანელობისათვის საჭ. აღკკ ცენტრალური კომიტეტთან ჩამოყალიბებული კომისიის თავმჯდომარეს ამხ. დ. მკელდაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

— მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიებანი დიდი პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა ახალგაზრდობაში. ამასწინათ ჩატარებული მასობრივი კომკავშირული კროსისა და ტანვარჯიშული შეჯიბრების თვალსაჩინო წარმატება იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს ახალგაზრდობას გატაცებით უყვარს ფიზკულტურა და სპორტი და ღრმად იცის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კროსს ადამიანის ორგანიზმის გასამაგრებლად და სამხედრო-გამოყენებითი ჩვევების განსავითარებლად. ამიტომ საკავშირო პროფსაბჭოსა და საკ. აღკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ 15 ივნისიდან 30 ივნისამდე პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის ჩატარების შესახებ მბურავალე გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მშრომელთა ფართო მასებში.

პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. დებულებით კროსში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ ის, ვინც ბოლომდე გაიკლის დისტანციას. დებულების აღნიშნული შეხლები კროსის თვითეული მონაწილისაგან მოითხოვს კარგად მომზადებული გამოვიდეს სტარტზე და წარმატებით დაამთავროს რბენა.

ორდენსანი საქართველოს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სასპორტო საზოგადოებები, მუშები, კოლმეურნენი, მოსამსახურენი, მოსწავლე ახალგაზრდები გაცხოველებით ემზადებიან კროსისათვის. რეგულარულად მიმდინარეობს წვრთნა, რაიონები ჩამბული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და სხვ. წინასწარი ცნობებით საქართველოში კროსის პირველ დღეს, 15 ივნისს სტარტზე გამოვა 40.000 კაცი და ქალი. მოსამზადებელი მუშაობა განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს სამხრეთ-ოსეთში და ქალაქ თბილისის რაიონებში. მაგალითად, 26 კომისრის რაიონში უკვე შედგენილია ზუსტი კალენდარული ცხრილი, შერჩეულია დისტანციები, გამოყოფილია მსაჯთა კოლეგიები და სხვ. კროსს აგრეთვე კარგად ხედებიან კოლმეურნენი. თბილისს რაიონიდან პირველ დღეს კროსში მონაწილეობას მიიღებს 500 კოლმეურნე. აღსანიშნავია, რომ სოფ. გულგულის (თბილისის რაიონი) ფოფუნეს სახელობის კოლმეურნეობის 30 კომკავშირელდან კროსში ოცდაათივე მიიღებს მოთაწილეობას.

კომკავშირული კროსისა და მასობრივი ტანვარჯიშული შეჯიბრების ჩატარებისაგან მიღებული გამოცდილება ყველა პირობას გვიქმნის იმისათვის, რომ პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი წარმატებით დავამთავროთ, და ერთერთი მოწინავე აგიერი დავკაოთ მოძმე რესპუბლიკებს შორის.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „პროფკავშირულ-კომკავშირულ კროსს ამოცანად აქვს მშრომელთა მასობრივი ჩაბმა ფიზიკური კულტურის მეცადინეობაში, მათ მიერ შშო-ს კომპლექსის ნორმების ჩაბარება სიბრიელში“.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაჭრა საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა და ეს უნდა გაკეთდეს ნამდვილი ბოლშევიკური საქმიანობით.

ВАДАМДЕ ШЕАСРУЛЕС НАХЕВАРІ ВЛІС ГЕГМА

ТБІЛІСІСІС КОНЕІАКА-АКАУІС ДАКАХАЗА

სამტრესტის თბილისის კონიაკარაყის ქარხნის კოლექტივმა აღებული ვალდებულება — შეესრულებინა ნახევარი წლის გეგმა 16 ივნისისათვის, ვადამდე 14 ივნისს დაანადა.

საერთო პროდუქციის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა —126,6 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივი ახლა დარაზმულია იმისათვის, რომ ივნისის დამლევამდე გამოუშვას დამატებით 6.000 დეკალიტრი მაღალხარისხოვანი კონიაკი და ათეულათას მანეთობით ღირებულების არაკი.

ДЗІЛІНІС ІІІІІІІ ДАХАЗА

მცხეთა („კომუნისტის“ საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სოფ. ქსანის კირის ქარხანამ (დირექტორი — ვ. ფიჩხუა) მიმდინარე წლის 6 თვის საწარმოო დავალება 7 ივნისისათვის შეასრულა. ქარხანამ მეორე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 300 ტონა კირის ნაცვლად გამოუშვა 317 ტონა.

ქარხნის მუშაკთა კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ კირის გამოშვების 1941 წლის გეგმა 9 თვეში შეასრულოს.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: ცნობილი სტაჩანოველი, საკ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ვიანა კოლაევა საქართველოს პავილიონში სტრუქტურ, სადაც გამოფენილია მის პორტრეტი და მოყვანილია ცნობები მისი ხუთასი ოფერი მუშაობის შესახებ.

ფოტო ა. ეიგალოვისა

კომუნისტი

კვირა, 15 ივნისი, 1941 წ. № 139 (6144)

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატში

I.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა მოახდინა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მუსიკალური კომბინატის სამეურნეო-ფინანსიური საქმიანობის რევიზია.

რევიზიამ გამოააშკარავა წარმოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა განიავება, ბოროტმოქმედებათა ჩადენა, სახელმწიფო სახსრების მითვისება, ფინანსიური და საშტატო-საგანაკვეთო დისციპლინის უხეშად დარღვევა.

კომბინატის მშენებლობა, რომელიც ჯერ კიდევ 1936 წელს დაიწყო, დამთავრებული არ არის. მოწყობილია მხოლოდ სადაზგო საამქრო და სახმობი. არ სწარმოებს საგამშრელო საამქროს ექსპლოატაცია, თუმცა ეს საამქრო უზრუნველყოფილია მოწყობილობის პროექტებით და ამ მოწყობილობის ნაწილი დადგმულია.

კომბინატის დირექტორის მ. შ. ფალავანდიშვილის და ტექნიკური ხელმძღვანელის ი. ს. ამასოვიჩის მხრივ კომბინატის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად, სამუსიკო ინსტრუმენტების გამოშვების საწარმოო გეგმა სისტემატურად არ სრულდება.

მაგალითად, პიანინოების გამოშვების საწარმოო გეგმა 1940 წელს შესრულდა მხოლოდ 53,3 პროცენტით, ხოლო ნაკლებ შრომატევადი ნაწარმისა — ავეჯისა — 175,3 პროცენტით. წელს I კვარტალში პიანინოების გამოშვების გეგმა შესრულდა 83,2 პროცენტით, ხოლო ავეჯისა — 349,2 პროცენტით.

სამუსიკო ინსტრუმენტებს წყვეტებით და არათანაბრად უშვებდნენ.

კომბინატში ტექნოლოგიური დისციპლინა ირღვეოდა.

პიანინოს საგაბარიტო ზომას აქვს გადახრილობა: პიანინოს კორპუსის სიმაღლეს — 2-დან 8 მილიმეტრამდე და სახურავის სიგრძეს — 10 მილიმეტრამდე. კედლის, სახურავის, ზედა და ქვედა ჩარჩოების მასალად იყენებენ მდარე ხარისხის დიქტს, რომლის სისქე, 5-6 მილიმეტრის ნაცვლად, 3-5 მილიმეტრს უდრის.

პიანინოს მომართვა, ბგერაშეუღწეველი კაბინების მოუმზადებლობის გამო, ხდება ღია სადგომში, რეგულირებასა და გაკრიალებასთან ერთად. მოფირფიცრება, გახეხვა, პირველი საღებავის წასმა და გაკრიალება ხელით სწარმოებს.

გამოშვებული მზა ნაწარმის ხარისხი დაბალია.

წარმოებიდან გამოშვებულ მზა პიანინოებს აქვთ მთელი რიგი დეფექტები, როგორც მაგალითად: გაკრიალებულ ზედაპირს აქვს მცირე ბზარება კედლებზე, სახურავზე, წინა ჩარჩოებსა და სარქველზე; სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის მოპირკეთებული სალირსე ნაწიბურები, ცუდად არის გახეხილი, პუპრუტანები არ არის დაგოზვილი, შავად შეღებილია უსწორ-მასწოროდ და არ არის გალაქული. კორპუსის გარეგანი დეტალების ზედაპირი პირველი საღებავის წასმისა და გაკრიალებისათვის მათი მოსამზადებლად გულმოდგინედ არ არის გახეხილი.

საწყობში არსებულ მზა ნაწარმში აღმოჩნდა 20 ისეთი პიანინო, რომელიც უნდა შეკეთდეს, აქედან 8 პიანინო მთლიანად გახეხვას, პირველი საღებავის წასმასა და გაკრიალებას საჭიროებდა.

კომბინატში საწარმოო წუნის აღრიცხვა არა ხდება. მზა პროდუქციის გადაკეთებისა და დეფექტების გასწორების ხარჯებს პირდაპირ წარმოებას მიაკუთვნებენ. გადაკეთებისა და დეფექტების გასწორებისათვის 1940 წელს გადახდილია 15.970 მანეთი.

რევიზიამ აღმოაჩინა, რომ კომბინატში ხდებოდა საფონდო მასალებისა და მზა ნაწარმის განიავება. მაგალითად, 1940 წლის 1 იანვრიდან 1941 წლის 1 მარტამდე ფალავანდიშვილისა და ნიკოლაიშვილის განკარგულებებით სხვებზე გაცემულია 110.234 მანეთისა და 73 კაპიკის სხვადასხვა მასალა.

კომბინატის თანამშრომლებს ფართო მოხმარების ნაწარმი დაკლებულ ფასად ეძლეოდათ. მაგალითად, კომბინატის დირექტორმა მ. შ. ფალავანდიშვილმა წაიღო 1.737 მან. 44 კაპიკის ფართო მოხმარების სხვადასხვა ნაწარმი, თუმცა მისი საგეგმო-გასაყიდი ღირებულება 2.640 მან. 64 კაპ. იყო; კომბინატის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის დირექტორმა ვ. ს. ნიკოლაიშვილმა წაიღო ერთი შიფონერი, რომლის ღირებულება — 1.256 მანეთი — დღემდე არ გადაუხდია, ყოფილმა მთავარმა ბუხჰალტერმა ა. ი. ქურქჩიანმა 289 მან. და 14 კაპიკად წაიღო კარადა და ბოძგინტი, თუმცა მათი საგეგმო - გასაყიდი ფასი 1.281 მანეთსა და 40 კაპიკს უდრიდა, და სხვ.

რევიზიამ გამოააშკარავა სახელმწიფო სახსრების მითვისებისა და ბოროტმოქმედებათა ფაქტები.

კომბინატის მომარაგების განყოფილების უფროსმა ს. დ. ანჯაფარიძემ 1940 წლის იანვარში ხეთის მექანიზებული სატყეო-სამრეწველო მეურნეობის სალაროდან მიიღო 6.760 მან. 05 კაპ., რაც კომბინატის სალაროსათვის არ ჩაუბარებია. ეს თანხა ხეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ ანგარიშით შეიტანა გაცემული ხე-ტყის მასალის ღირებულებაში, რამაც ანჯაფარიძეს შესაძლებლობა მისცა მიეთვისებინა იგი.

ყოფილმა მთავარმა ბუხჰალტერმა ა. ი. ქურქჩიანმა 1940 წელს საბუხჰალტრო აღრიცხვით დამალა ორი პიანინოს რეალიზაცია. სალაროს შემოსავალში არ ჩასწერა მიღებული ფული და ამა წლის მარტში სხვა სამუშაოზე გადასვლის დროს კომბინატის სალაროში ამ ფულის შეტანა „დაავიწყდა". ამნაირად ქურქჩიანმა მიითვისა 5.800 მან.

კომბინატის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ნიკოლაიშვილმა ხელი მოაწერა 2.599 მან. 60 კაპიკის მასალის შესყიდვის ფიქტიურ ანგარიშს, მასალა კი შესყიდული არა ყოფილა. ეს ფული, კომბინატში 1939 წელს ფიქტიური ანგარიშით შეტანილი, შემდეგში მიიღო ნიკოლაიშვილმა, რომელსაც ამ თანხის ანგარიში არ ჩაუბარებია.

გამოაშკარავებულია ფინანსიური დისციპლინის უხეში დარღვევა და სახელმწიფო სახსრების უკანონო ხარჯვა.

ავანსებით სარგებლობდა კომბინატის მთელი პერსონალი. 14 თვის განმავლობაში ავანსად გაცემულ იქნა 85.845 მან. და 07 კაპ.

საქვეანგარიშო თანხების გაცემისა და გასტუმრების წესებს არ იცავდნენ.

კომბინატის დირექტორის ყოფილი მოადგილე ნიკოლაიშვილი, ყოფილი მთავარი ბუხჰალტრის ქურქჩიანის წაყრუების მეოხებით სისტემატურად არ აბარებდა საქვეანგარიშო თანხის დიდ ნაშთებს. საქვეანგარიშო თანხის ნაშთი — 4.500 მან., რაც მასზე 1941 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა, და მის მიერ ხელფასის ანგარიშში ავანსად მიღებული 862 მან. 70 კაპ. ნიკოლაიშვილს არ გაუსტუმრებია; მან გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა და აღნიშნული თანხა გადაიტანა თავისი ახალი სამსახურის ადგილას, სადაც ეს დავალიანება მასზე ჩაწერილი არ არის.

ფართოდ იყო გავრცელებული მასალებისა და სხვადასხვა საგნის შესყიდვა საცალო სავაჭრო ქსელში და კერძო პირებისაგან. 1940 წლის განმავლობაში და ამა წლის იანვარსა და თებერვალში შესყიდული იყო 90.695 მანეთისა და 56 კაპიკის სხვადასხვა მასალა, აქედან კომბინატის დირექტორის ყოფილი მოადგილის ნიკოლაიშვილის საშუალებით ლენინგრადში და სსრ კავშირის სხვა ქალაქებში, მისი პირადი ცნობებითა და კერძო პირთა ანგარიშებით, — 29.363 მანეთისა და 95 კაპიკისა.

სწარმოებდა მზა ნაწარმისა და მასალის გაცემა ნაღდ ანგარიშზე. 1940 წლის 1 იანვრიდან 1941 წლის 1 მარტამდე კომბინატის სალაროში შევიდა 128.545 მან., 03 კაპ., აქედან სახელმწიფო ბანკში შეტანილია მხოლოდ 17.793 მან.

კომბინატის დირექტორ ფალავანდიშვილს და ყოფილ მთავარ ბუხჰალტერს ქურქჩიანს არ მიუღია ზომები სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაციისათვის; ეს დავალიანება 1941 წლის 1 იანვრისათვის 156.763 მანეთსა და 64 კაპიკს შეადგენდა.

გამოაშკარავებულ იქნა საშტატო - საგანაკვეთო დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

დირექტორმა ფალავანდიშვილმა და ყოფილმა მთავარმა ბუხჰალტერმა ქურქჩიანმა თვითნებურად გაუდიდეს ხელფასი კომბინატის ორ მუშაკს. უკანონოდ იყო შემოღებული საფინანსო ორგანოებში აღურიცხავი 5 თანამდებობა, მათ შორის თანამდებობა მუსკომბინატის წარმომადგენლისა ქალაქ ლენინგრადში 300 მან. თვიური ხელფასით. თანამდებობათა უკანონო შეთავსებისათვის 14 თვის განმავლობაში გადახდილ იქნა 7.299 მან. 63 კაპ.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა ყოფილი მთავარი ბუხჰალტრის ქურქჩიანის მიზეზით მოუგვარებელი იყო.

სამასალო საწყობის შენობები სავსეა ხარახურით, პიანინოს ძვირფასი დეტალები, როგორიცაა კლავიატურა და მექანიკა, ერთ შენობაში ინახება ზღვის ბალახთან, მოშლილ მოწყობილობასთან და სხვ. ერთად.

წარმოებისათვის გამოწერილი, მაგრამ გამოუყენებელი მასალა არ შეჰქონდათ შემოსავალში, რაც ჰქმნიდა პირობებს მისი დატაცებისათვის.

რევიზიამ გამოარკვია, რომ სამასალო საწყობის გამგეს ლ. ბ. სლაუტერს დააკლდა 182,5 კილოგრამი საიმპორტო შელაქი და 35,9 კილოგრამი სხვადასხვაგვარი სჭვალი, აგრეთვე გამორკვეულ იქნა ცალკეულ მასალათა დიდი გადახარისხება.

რევიზიის მიერ აღმოჩენილ ფაქტებთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა ამხ. **ჯაშმა** სასტიკი საყვედური გამოუცხადა კომბინატის დირექტორს მ. შ. ფალავანდიშვილს.

თანამდებობიდან გადააყენა და სამართალში მისცა კომბინატის დირექტორის ყოფილი მოადგილე (ამჟამად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის დირექტორი) ვ. ს. ნიკოლაიშვილი, კომბინატის მომარაგების განყოფილების უფროსი ს. დ. ანჯაფარიძე და სამასალო საწყობის გამგე ლ. ბ. სლაუტერი. სამართალში მიცემულია აგრეთვე კომბინატის ყოფილი მთავარი ბუხჰალტერი ა. ი. ქურქჩიანი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **გ. მ. გორდეზიანს** კონკრეტული მითითება მიეცა რევიზიით გამორკვეულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრისა და კომბინატის მუშაობის მოსაწესრიგებლად საჭირო ზომების მიღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა ამხ. **ჯაშმა** ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **გ. მ. გორდეზიანს** წინადადება მისცა გადაახდევინოს და სახბიუჯეტში შეიტანოს გადახდილ თანხათა და კომბინატის მუშაკების მიერ წაღებული პროდუქციის საფაბრიკო-საგასაცემო ღირებულებას შორის არსებული განსხვავება: კომბინატის დირექტორს მ. შ. ფალავანდიშვილს — 903 მან. 50 კაპ.; ტექნიკური განყოფილების გამგეს ე. გ. მაღალოვას — 786 მან. 70 კაპ.; საამქროს უფროსს შ. დ. მეტრეველს — 783 მან. 20 კაპ., საამქროს ოსტატს კ. ნუცუბიძეს — 151 მან. 00 კაპ.; მთავარი ბუხჰალტრის მოადგილეს ა. კ. ფარესაშვილს — 189 მან. 16 კაპ.

II.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა მოახდინა საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თელავის აბრეშუმის პარკსახვევი ფაბრიკის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია.

რევიზიამ ფაბრიკაში აღმოაჩინა ორთქლძალოვან დანადგართა ექსპლოატაციისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის შესუსტების, ტექნოლოგიური რეჟიმის და მოწყობილობის ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევის, საფონდო მასალის და საწვავი მასალის განიავების, საფინანსო და საშტატო-საგანაკვეთო დისციპლინის უხეში დარღვევის, საბუხჰალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მოუგვარებლობის მრავალი ფაქტი.

დირექტორი ი. რ. მუჯირი არადამაკმაყოფილებლად უწევს ხელმძღვანელობას ფაბრიკის საწარმოო და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

1940 წლის საერთო პროდუქციის გეგმა ფაბრიკამ მხოლოდ 93,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 88,3 პროცენტით. 1940 წლის ნატურპროდუქციის გეგმა შესრულებულ იქნა 94,6 პროცენტით, ხოლო 1941 წლის პირველი კვარტალის გეგმა — 88,7 პროცენტით.

რევიზიის პერიოდში ფაბრიკამ სახელმწიფოს დააკლო 1.395.710 მან. ღირებულების 5.629 კილოგრამი გრეჟა.

გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, 1940 წელს გაიზარდა 1 პროცენტით და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — 15,3 პროცენტით.

გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი იყო ფაბრიკის დირექტორის მუჯირისა და ყოფილი მთავარი მექანიკოსის ვ. მ. შენგელიას უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოწყობილობის ექსპლოატაციისა და მისი მოვლისადმი, რასაც შედეგად მოჰყვა შიდაწვის ძრავებისა და ორთქლის ქვაბების არაერთი სერიოზული ავარია.

1940 წლის განმავლობაში და 1941 წლის პირველ კვარტალში იყო სხვადასხვა ავარიის 153 შემთხვევა.

ძალოვან დანადგართა ავარიების გამო ფაბრიკა მოცდა 16.080 დაზგა-საათს, რითაც სახელმწიფოს დააკლო — 473.600 მან. ღირებულების 1.900 კილოგრამი გრეჟა.

1939 წლის ივნისში გორკის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ 1937 წელს გამოშვებულმა 140 ცხენძალის ძრავმა, რომელიც გაუგრილებლად დასტოვეს, ავარია განიცადა. ამავე ძრავმა 1940 წ. 5 და 7 აპრილს ორი ავარია განიცადა, ხოლო იმავე წლის 6 მაისს მძიმე ავარიის შედეგად იგი 7 თვით გამოვიდა მწყობრიდან.

ხსენებული ძრავის რემონტზე ორი წლის განმავლობაში დაიხარჯა 70.434 მანეთი, მაშინ როდესაც მისი საბალანსო ღირებულება შეადგენს 68.500 მანეთს. მიუხედავად ამისა, ძრავი დიდი შეფერხებებით მუშაობს და მთელი რიგი პასუხსაგები დეტალების შეცვლას მოითხოვს.

მორიგ მემანქანეს ხიზანიშვილს და მზეთავ აბრამიშვილს 1940 წლის 1 აპრილს, სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს, დაეძინათ, რის შედეგად დაუზეთავად მიტოვებულმა 75 ცხენძალის ძრავმა ავარია განიცადა. იმავე ძრავმა, რომელიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული, 1940 წლის 2 ივლისს ხელმეორედ განიცადა ავარია და მწყობრიდან გამოვიდა.

საქვაბე დანადგართა მომსახურების გრაფიკი იმდენად უპასუხისმგებლოდ იყო შედგენილი, რომ ითვალისწინებდა ორთქლის ქვაბების უმეთვალყურეოდ მიტოვებას 2-დან 6 საათამდე.

საქვაბეში სამორიგეოდ დაუშვეს ამ საქმის უცოდინარი ვინმე ფეიქრიშვილი, რომელმაც გამოიწვია კვამლსაწვავი მილის გადაწვა, რის შედეგად 1940 წლის 27 თებერვალს ქვაბმა ავარია განიცადა.

ცეცხლფარეშმა ამირგულაშვილმა 1941 წლის 16 თებერვალს „შუხოვ-ბერლინის" სისტემის ქვაბი დასტოვა საქმის უცოდინარ ლეგაშვილის ხელში, რომელმაც წყალი არ ჩაასხა ქვაბში და გადასწვა 18 ორთქლის მილი, რის შედეგად მიმდინარე წლის 6 მარტს ქვაბმა ავარია განიცადა და რამდენიმე თვით გამოვიდა მწყობრიდან.

ფაბრიკის დირექციას და საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს არ მიუღიათ ზომები ფაბრიკაში ავარიულობის ლიკვიდაციისათვის, არ აღმოუჩენიათ და არ დაუსჯიათ ისინი, ვისაც კონკრეტული დანაშაული მიუძღოდა ავარიებში.

ფაბრიკის დირექტორი და ყოფილი მთავარი მექანიკოსი ვ. მ. შენგელია ასევე უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ საწარმოო მოწყობილობას. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა სახით ფაბრიკაში თვითნებურად, წინასწარი გაანგარიშებისა და დასაბუთების გარეშე 24 რვათვითწამღებიანი პარკსახვევი დაზგა გადააკეთეს ოცთვითწამღებიან დაზგებად, რაზედაც 17.354 მანეთი დაიხარჯა.

ჩატარებულმა „რაციონალიზაციამ" ვერ გაამართლა თავისი თავი და უკუგადაკეთებას მოითხოვს. 122 რვათვითწამღებიანი პარკსახვევი დაზგა ათთვითწამღებიანად გადააკეთეს და უხეშად დაარღვიეს დამტკიცებული პროექტი.

საწარმოო მოწყობილობის შესაკეთებლად სახსრები უგეგმოდ და უკონტროლოდ იხარჯებოდა.

როგორც რევიზიამ გამოარკვია, საწარმოო მოწყობილობის ასეთი მდგომარეობა და ავარიის ხშირი შემთხვევები იმით აიხსნება, რომ ფაბრიკის ყოფილი მთავარი მექანიკოსი ვ. მ. შენგელია დანაშაულებრივი დაუდევრობით ეკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას.

ამჟამად ფაბრიკის მთავარი ინჟინერი შ. ა. ყარაულაშვილიც არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მუშაობას.

ფაბრიკაში უხეშად არღვევენ პარკის შენახვის, დახარისხებისა და ამოხვევის ტექნოლოგიურ რეჟიმს. ნედლეულის საწყობში პარკი ალაგია შტაბელებად, რომლებიც შესდგება 12-13 ერთმანეთზე დაწყობილი ბარდანისაგან, ნორმით კი 8 ბარდანად უნდა ელაგოს ერთმანეთზე. საწყობის კედელსა და პარკის შტაბელებს შუა გასავლელი ადგილი სულ არ არის დატოვებული, მაშინ როდესაც მოქმედი ინსტრუქციით გათვალისწინებულია სულ მცირე 0,5 მეტრი გასავლელი ადგილი, არ არის აგრეთვე დაცული პარკის შტაბელებს შორის გასავლელი ადგილების ნორმა.

პარკის საწყობში არ არის ამწოვი ვენტილაცია და არც იმის პირობებია, რომ ბუნებრივი განიავება ხდებოდეს.

წუნდებული პარკი, რომელსაც ადვილად უჩნდება ტყავიჭამია და წესით ნორმალური პარკის საწყობებთან სულ მცირე 45-50 მეტრ მანძილზე უნდა ინახებოდეს, ნორმალურ პარკთან ერთად ინახება.

დამხარისხებელ საამქროში საკონტროლო დახარისხებისას, III ხარისხის დახარისხებულ პარკში აღმოჩენილია 10 პროცენტზე მეტი I და II ხარისხის პარკი და თეთრ ჩხარულ პარკში 12 პროცენტზე მეტი III ხარისხის პარკი.

„ბრამბილის" სისტემის პარკდამყალიბებელი მანქანის უწესივრობის შედეგად პარკი ერთი მოცულობის მიხედვით როდი ყალიბდება.

პარკსახვევ დაზგებზე ზედა საგრეხი კოჭების 30 პროცენტი უმოქმედოდ არის.

იმის გამო, რომ თვითწამღები აპარატის გადასაცემი კბილანები მეტად გაცვეთილია, 624 თვითწამღები დიდი შეფერხებით მუშაობს.

ქვედა აქატების ხვრეტილთა დიამეტრები, ნორმით გათვალისწინებული 0,5 მილიმეტრის ნაცვლად, 1,2 მილიმეტრს აღწევენ, რის გამო 1940 წელს და 1941 წლის პირველ კვარტალში ფაბრიკას არ გამოუშვია არცერთი შეკვრა 1-ლი კლასის გრეჟა II სიწმინდის მაჩვენებლის მიხედვით.

პარკსახვევი ვარცლების დასაორთქლ ჯაგრისებს გაკეთებული აქვთ უვარგისი ხაო, ბევრ ჯაგრისს სულ არ აქვს „ბუშტა", ხოლო მომუშავე „ბუშტა" იმდენად მოკლეა, რომ თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს.

უხეშად ირღვევა რეჟიმით დაწესებული ნორმა პარკისა, რომელიც ერთჯერად უნდა დაორთქლდეს, და პარკის რაოდენობა თვითწამღებ ქვეშ.

საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის აბრეშუმის მრეწველობის ცენტრალურ-ექსპერიმენტული საკვლევო ლაბორატორია (დირექტორი ვ. მ. სალუქვაძე) სუსტად ხელმძღვანელობდა ფაბრიკის ლაბორატორიების მუშაობას.

ფაბრიკაში მთელი რიგი ლაბორატორიული ხელსაწყოები, მაგალითად, სერიმეტრი, სერიპლანი, დენიოს მანქანები და სხვ. უწესივრო მდგომარეობაშია, რის შედეგადაც გრეჟის ხარისხის ცალკეულ მაჩვენებლებს საერთო-საკავშირო სტანდარტის დარღვევით არკვევენ.

იმის გამო, რომ ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ყარაულაშვილი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა საქმეს, ფაბრიკის ლაბორატორია 5 თვის განმავლობაში რევიზიის მომენტამდე ლაბორატორიული შემოწმებიდან დაბრუნებული კოჭების გრეჟას სჭრიდა და ხელოვნურად აქცევდა ნაწეწად, რითაც კილოგრამი 210-მანეთიანი გრეჟა 15-მანეთიანი ხდებოდა.

გრეჟის დაჭრის შესახებ ფაბრიკას არაერთხელ მიუმართავს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის, მაგრამ სახკომატს საჭირო ზომები არ მიუღია. უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული ეს საქმე ცენტრალურ საექსპერიმენტო-საკვლევო ლაბორატორიასაც.

ფაბრიკაში ფართოდ იყო გავრცელებული ფონდირებული სამშენებლო მასალისა და საწვავის განიავების პრაქტიკა.

ფაბრიკის სასაწყობო მეურნეობა და სასაწყობო ოპერაციების აღრიცხვა ქაოსურ მდგომარეობაშია. დამხმარე მასალა და მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები ერთმანეთშია არეული და არ აქვთ სანომენკლატურო ნომრები.

საწყობში 1939 წლიდან ინახება 42.306 მანეთის სხვადასხვა დამხმარე მასალა და მოწყობილობა, რაც ფაბრიკას არ ესაჭიროება.

ფაბრიკის ტერიტორიაზე ცის ქვეშ ჰყრია 4 ტონამდე რადიატორები, წყალსადენის მილები და სხვა რკინის ნაწილები და 28 კუბურ მეტრამდე ხე-ტყის მასალა.

უხეშად ირღვეოდა საფინანსო და საშტატო-საგანაკვეთო დისციპლინა.

ფაბრიკის დირექტორ მუჯირსა და მთავარ ბუხჰალტერ ს. ა. სოლოპას დაშვებული აქვთ გადახარჯვა; გადახარჯულია 45.300 მანეთის ტექნოლოგიური ორთქლი 28.300 მანეთის ელექტროენერგია, მუშათა ხელფასზე 30.000 მანეთი, საამქროს ხარჯებში 97.700 მანეთი, საერთოდ საქარხნო ხარჯებში 444.300 მანეთი.

დირექტორის ფონდიდან უკანონოდ არის დახარჯული 17.268 მანეთი.

შტატგარეშე ერთეულთა შესანახად დახარჯულია 7.200 მანეთი.

1940 წელს და ამა წლის პირველ კვარტალში კერძო ტრანსპორტის ქირად გაცემულია 111.808 მანეთი.

ფაბრიკის ექსპედიტორმა გ. გ. ძიქაძემ 1940 წელს ფაბრიკას მიჰყიდა 100 კილოგრამი ნაქურდალი ბენზინი, მანვე მიითვისა 200 მეტრი ნარმა, რომელიც წარმოების საჭიროებისათვის მიიღო საფეიქრო ნაწარმის მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოსაგან.

რევიზიით გამოირკვა, რომ საფეიქრო მრეწველობის სახკომატი და მისი მთავარი სამმართველოები — აბრეშუმის მრეწველობის, საფეიქრო ნაწარმის მომარაგება-გასაღებისა სუსტ ხელმძღვანელობას უწევდნენ ფაბრიკის მუშაობას.

რევიზიით გამოვლინებულ ფაქტებთან დაკავშირებით, საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა ამხ. **ჯაშმა** სასტიკი საყვედური გამოუცხადა ფაბრიკის დირექტორს ი. რ. მუჯირს და ფაბრიკის მთავარ ინჟინერს შ. ა. ყარაულაშვილს.

თანამდებობიდან გადააყენა ფაბრიკის მთავარი ბუხჰალტერი ს. ა. სოლოპა და ფაბრიკის ექსპედიტორი გ. გ. ძიქაძე.

საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **რუხაძეს** დაავალა სასჯელი დაადოს ფაბრიკის მთავარ მექანიკოსს ი. მ. ოღანჯანოვს, ხოლო ფაბრიკის ყოფილი მთავარი მექანიკოსის ვ. მ. შენგელიას საქმე გადასცეს საგამომძიებლო ორგანოებს სასამართლო პასუხისგებაში მის მისაცემად.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა ამხ. **ჯაშმა** წინადადება მისცა საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **რუხაძეს** ფაბრიკის დირექციასთან ერთად უახლოეს ხანში აღმოფხვრას ყოველივე ნაკლი, შეცდომები და დარღვევანი, რომლებიც კომისიამ გამოააშკარავა და უმოკლეს ვადაში გამოიყვანოს გარღვევიდან თელავის აბრეშუმის პარკსახვევი ფაბრიკა.

ფიზკულტურელების ერთი სასპორტო საზოგადოებიდან მეორეში გადასვლის ახალი წესი

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც შემოღებულია სპორტსმენების ერთი ფიზკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის ახალი წესი.

ამ ბრძანების თანახმად, ყოველ ფიზკულტურელს, როგორც წესი, შეუძლია იყოს ფიზკულტურის კოლექტივის წევრი მხოლოდ თავისი ძირითადი სამუშაოს, სწავლის, სამხედრო სამსახურის ადგილას და, მაშასადამე, შეჯიბრებაში უნდა გამოდიოდეს მხოლოდ თავისი კოლექტივისაგან, თავისი ფიზკულტურული ორგანიზაციისაგან.

ფიზკულტურელის სხვა სასპორტო საზოგადოებაში დროებითი გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ფიზკულტურული ორგანიზაცია ამ ფიზკულტურელის მუშაობის ადგილას არ მისდევს იმ სახის სპორტს, რომელშიც ეს ფიზკულტურელი მეცადინეობს.

ოჯახის წევრებს (კმაყოფაზე მყოფთ) უფლება აქვთ იყვნენ ფიზკულტურის კოლექტივში ოჯახის ერთერთი მომუშავე წევრის მუშაობის, სწავლისა ან სამხედრო სამსახურის ადგილის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი გადადის ან გადაჰყავთ ახალ სამუშაოზე, სხვა სასწავლებელში, ან შედის სამხედრო სასწავლებელში მას შეუძლია გადავიდეს ფიზკულტურულ ორგანიზაციაში თავისი ახალი სამუშაო ადგილის მიხედვით.

სრულიად-საკავშირო კომიტეტმა წინადადება მისცა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ყველა ადგილობრივ კომიტეტს 1941 წლის 1 სექტემბრიდან სპორტსმენები შეჯიბრებაში დაუშვან მხოლოდ იმ ფიზკულტურული კოლექტივებისაგან, რომლებთანაც მათ დამოკიდებულება აქვთ თავიანთი მუშაობით, სწავლითა და სამხედრო სამსახურით ან როცა სპორტსმენებს მიღებული აქვთ მოცემულ სასპორტო საზოგადოებაში დროებით ყოფნის სათანადო ნებართვა. (საქდესი).

ინგლისის სამხედრო მინისტრის საპარლამენტო მოადგილის კროფტის გამოსვლა

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ ლონდონში სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის სამხედრო მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ ლორდ კროფტმა, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ გამონახულ იქნება ღამის ყუმბარმშენებთან ეფექტიური ბრძოლის საშუალებანი.

შეეხო რა გერმანიის კონტრიერიშებს ჩრდილოეთ აფრიკაში, კროფტმა განაცხადა, რომ ინგლისის ჯარი, თავისი სიმცირის გამო, იძულებული გახდა ბენგაზიდან უკან დაეხია და წინასწარ მომზადებული პოზიცია დაეკავებინა ტობრუკში. კროფტის აზრით, ტობრუკი [illegible] წარმოადგენს გერმანიის წინსვლისათვის ეგვიპტის დასავლეთი მისასვლელებისაკენ. მანამ, სანამ ტობრუკი ინგლისელთა ხელშია, მერსა-მატრუხის თავდაცვის მთავარ ხაზს საფრთხე არ მოელის.

შემდეგ კროფტმა აღნიშნა, რომ ჰერცოგ აოსტას 250 ათასი კაცისაგან შემდგარი კარგად შეიარაღებული არმიიდან მხოლოდ 40 ათასი კაცი დარჩა.

შეეხო რა ერაყის ამბებს, კროფტმა განაცხადა, რომ „მტრის მიერ სირიის დაკავება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ინგლისს და ამიტომ მან გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მიეღო ზომები ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად".

საჰაერო ბომბარდირების მსხვერპლი ინგლისში

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს ცნობებით, მაისის განმავლობაში ინგლისში საჰაერო ბომბარდირების შედეგად დაიღუპა 5.394 კაცი. 5.118 კაცი დაიჭრა და 75 კაცი უკვალოდ დაიკარგა და, როგორც ჰფიქრობენ, დაიღუპა.

იოსიძავას განცხადება

ტოკიო, 13 ივნისი (საქდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის დელეგაციის მეთაურმა ჰოლანდიის ინდოეთში იოსიძავამ გაზეთ „იომიურის" რედაქციასთან ტელეფონით საუბრის დროს განაცხადა, რომ ჰოლანდიის ინდოეთის მიერ დაკავებული მტკიცე პოზიციისა და იაპონიის წინადადებებზე მის მიერ საბოლოო პასუხის გაცემის გამო კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი გახდა. ჰოლანდიის ინდოეთის პასუხი ფორმულირებულ იქნა ჰოლანდიის ინდოეთის საბჭოს მიერ მისი გულდასმით განხილვის შემდეგ და შემდგომი ნაბიჯების ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია. ამასთან დაკავშირებით, იოსიძავამ განაცხადა, რომ მას არ მიაჩნია საჭიროდ შეხვდეს ჰოლანდიის ინდოეთის ხელისუფალთა წარმომადგენლებს იაპონიაში გამგზავრებამდე, რაც დანიშნულია 29 ივნისისათვის. იმის მეოხებით, რომ საზოგადოებრივი აზრი და პრესა გადაჭრით უჭერენ მხარს ჰოლანდიის ინდოეთის მთავრობის მიერ დაკავებულ მტკიცე პოზიციას, განაგრძო იოსიძავამ, „სიტუაცია სულ უფრო-დაუფრო გართულდება". იოსიძავამ უარჰყო ხმები ჰოლანდიის ინდოეთიდან იაპონიის ქვეშევრდომთა ევაკუაციის შესახებ და განაცხადა, რომ არავითარი მზადება არ ყოფილა ჰოლანდიის ინდოეთიდან ყველა იაპონელი რეზიდენტის გამგზავრებისათვის. იაპონიის გენერალურმა კონსულმა ბატავიაში იოსიძავამ იაპონელ რეზიდენტებს მოუწოდა, სიმშვიდე დაიცავითო.

ომი ჩინეთში

(6-13 ივნისის მიმოხილვა)

ამ უკანასკნელ ხანს გაცხოველდა საომარი ოპერაციები ჩრდილოეთ ჩინეთში, სუიუანის პროვინციაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სიწყნარე იყო. საომარი მოქმედება გაჩაღებულია სუიუანის პროვინციის უდაბურ და ტრამალიან რაიონებში. ეს გარემოება იაპონიის სარდლობას შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს მოტორიზებული და ჯავშანსატანკო ნაწილები.

ჩინეთის ჯარი ქალაქ ბაოტოუს დასავლეთით მდებარე რაიონში მოქმედებს. ეს ქალაქი ბეიპინ-სუიუანის რკინიგზის უკანასკნელი პუნქტი და სუიუანის პროვინციის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია. ქალაქი იაპონიის ჯარის დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენს სუიუანის პროვინციაში ოპერაციებისათვის. მაგრამ იაპონელთა მიერ მისი ოკუპაციის დროიდან მათ ერთხელაც ვერ შესძლეს მნიშვნელოვან მანძილზე წაწეულიყვნენ ამ ქალაქიდან. ახლა ამ რაიონში, ალბათ, იაპონიის დიდი ძალები არ მოიპოვებიან. ჩინეთის ჯარის ნაწილებმა ამით ისარგებლეს და დაიწყეს შეტევა ანბიზე; ისინი ცდილობენ გარშემოერტყან იაპონიის ჯარს ულაშანის მთების ჩრდილოეთით მდებარე რაიონში. ჩინეთის ჯარის კოლონა პირისპირ მიადგა ანბის. ჩინეთის ჯარის სხვა ნაწილები მოქმედებას ავითარებენ ანბი-ბაოტოუს გზატკეცილის გასწვრივ და რკინიგზის გასწვრივ, რითაც აძნელებენ იაპონიის მაშველი ძალების გადაყვანას და საომარი მასალის გადატანას. ჩინეთის მაშველი ძალები მდინარე ხუანხეს სამხრეთ ნაპირიდან გადაჰყავთ ბაოტოუს რაიონში.

შანსის პროვინციაში, ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლა იყო უმთავრესად საკომუნიკაციო ხაზების — რკინიგზებისა და გზატკეცილების გასწვრივ. ბრძოლას ყველაზე სერიოზული ხასიათი აქვს გაოპინ - ჯანძის რაიონში (შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი). ჩინეთის ჯარი ანგრევს გზებს, ხიდებს და სხვა ნაგებობებს, რითაც იაპონელებს უდიდეს სიძნელეებს უქმნის ოპერაციების გაშლაში. 31 მაისს დანგრეულ იქნა ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის დიდი ხიდები ანიანისა და ტანინის რაიონში. გასულ კვირას ბრძოლა იყო შანდუნის პროვინციაშიც. იშანის მთებში მოქმედი ჩინეთის ჯარის ნაწილები არაერთხელ დაესხნენ თავს ცინდაო-ძინანის რკინიგზას და ანგრევდნენ მას.

ამ უკანასკნელ ხანს მოელოდნენ დიდ ბრძოლას ხუბეის პროვინციის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში (ცენტრალურ ჩინეთში), კანტონ-ხანკოუს რკინიგზის აღმოსავლეთით. იაპონიის სარდლობამ დაიწყო რეზერვების გადაყვანა ამ რაიონში, მაგრამ შემდეგ მათი გადაყვანა შეჩერებულ იქნა და ოპერაციებს ფართო ხასიათი არ მიუღიათ. საზვერავი ხასიათის ბრძოლა მიმდინარეობდა მხოლოდ იოჯოუ-ტუნშანის გზატკეცილის გასწვრივ და ხუბეის პროვინციის ზოგიერთ სხვა რაიონში.

13 ივნისი (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

[illegible]

[illegible]

[illegible]

გავაძლიეროთ ჩაის კრეფის ტემპები

ლანჩხუთი („კომუნისტის" კორ.). რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები მახარაძის რაიონის მოწინავე კოლმეურნეთა მოწოდებასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ (სოფ. ნიგვზიანის, გულიანის, ხორეთის, ზემო-შუხუთის, ხაჯალიას და სხვა კოლმეურნეობები).

მაგრამ რაიონში არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიც. სოფ. ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ მაისში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა მხოლოდ 83,3 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი შრომის მოუწესრიგებლობაა. აქ ყოველდღიურად 250-ზე მეტი მომუშავის გამოყვანა შეიძლება, ფაქტიურად გამოდის მხოლოდ 190-200. 1 ივნისს მეექვსე ბრიგადის პირველი რგოლიდან სამუშაოზე არავინ გამოსულა, მაშინ, როცა კოლმეურნეობის გამგეობის განრიგით ამ დღეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა უნდა ეწარმოებინათ. მეორე ბრიგადაში ყოველდღიურად ჩაის კრეფაზე 17 ქალი უნდა გამოდიოდეს, ფაქტიურად 9-11 გამოდის.

შრომა განსაკუთრებით მოუწესრიგებელია მეოთხე ბრიგადაში (ბრიგადირი — შ. გოგიჩაიშვილი). ამ ბრიგადამ მაისში სახელმწიფოს 3.000 კილოგრამამდე ჩაის მწვანე ფოთოლი დააკლო. კოლმეურნე ქალები ვ. ჩხარტიშვილი, ა. გალოგრე, ს. სარჯველაძე და სხვ. სისტემატურად აცდენენ სამუშაო დღეებს, მაგრამ მათ მიმართ სათანადო ზომები არ მიუღიათ.

კოლმეურნეობის გამგეობა სუსტად იბრძვის შინაგანაწესის შესრულებისათვის. ამის შედეგია ის, რომ კოლმეურნე ქალები ხშირად 2-3 საათით აგვიანებენ სამუშაოზე გასვლას.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

შრომა არც სოფ. ქვემო-ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშია მოწესრიგებული, სამუშაოს აცდენენ თვით რგოლის ხელმძღვანელები. მაგალითად, რგოლის ხელმძღვანელს ს. ჯორბენაძეს დღემდე გამომუშავებული აქვს მხოლოდ 76 შრომადღე. ასევე აცდენენ სამუშაო დღეებს რგოლის ხელმძღვანელები ს. და გ. პატარაიები. ამიტომ მათ რგოლში შრომის დისციპლინა დაბალია. კოლმეურნე გ. სარჯველაძეს მაისში გაცდენილი აქვს 21 სამუშაო დღე, დ. მგელაძეს — 11. ამ კოლმეურნეობამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა მეორე და მესამე ხარისხის ხარჯზე შეასრულა და ივნისშიც ისევ ძველებურად მუშაობს. პირველ ათდღიურში ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა უმნიშვნელო პროცენტით აქვს შესრულებული.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ აგრეთვე სოფ. ქვიანის, ორაგვის, მაჩხვარეთის, ტელმანის, ახალსოფლის და სხვ. კოლმეურნეობები.

ჩამორჩენა ჩაის კრეფაში შეუწყნარებელია. რაიონულმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ფართოდ უნდა დარაზმონ მასები სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის და უახლოეს დღეებში გამოასწორონ ნაკლოვანებანი.

ვალ. მექვაბიშვილი

ცხენისწყლის ნაპირებზე

სამტრედია („კომუნისტის" კორ.). მდინარე ცხენისწყლის სანაპიროების გამაგრებაზე გვაზოურის უბანში სამტრედიის რაიონის კოლმეურნენი დიდ მუშაობას ეწევიან. ამ უბანში მდინარის ნაპირების გამაგრება 1940 წელს დაიწყო და ახლაც გრძელდება. მართალია, უკანასკნელ ხანებში დავალების წარმატებით შესრულებისათვის მაღალი ტემპები იქნა აღებული, მაგრამ ზოგიერთი სამუშაო კვლავ არადამაკმაყოფილებლად სრულდება. მაგალითად, ქვის სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 7.550 კუბურ მეტრზე, შესრულებულია 5.775 კუბურ მეტრზე. შედარებით კარგად სრულდება მიწის სამუშაოები — ნაცვლად 13.472 კუბური მეტრისა, შესრულებულია 13.247 კუბური მეტრი. გეგმით ამ უბანზე მთელი მუშაობა 1 ივლისს უნდა დამთავრდეს. სამტრედიელმა კოლმეურნეებმა იკისრეს აღნიშნული სამუშაოს წარმატებით შესრულება და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს წულუკიძის რაიონის კოლმეურნეები.

მუშაობის დაწყებიდან დღემდე ცხენისწყლის ნაპირების გამაგრებაზე მონაწილეობა მიიღო 15.344 კოლმეურნემ. მუშაობაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოგვცეს ღანირის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, აგრეთვე ამავე სოფლის კოლმეურნეობა „პირველი მაისის", სოფ. ჩხენიშის მახარაძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა. მაგრამ არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, რომელთა ზოგიერთი წევრები სამუშაოზე გამოსვლას გაურბიან, მაგალითად, ღანირის კოლმეურნეობა „წითელი სხივის" (თავმჯდომარე — ქსენია დანელია), სოფ. ჭაგნის და სხვა კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრები.

ახლო ხანში დაწყებულ უნდა იქნას ჩხენიშის უბნის სამუშაოები. ეს საკითხი პარტრაიკომის ბიურომ უკვე განიხილა და მოამზადა ყველა პირობა მშენებლობის დაწყებისათვის. მაგრამ გვიანდება პროექტის შედგენა, რაც ხელს უშლის მუშაობის დაწყებას. გარდა ამისა, აქ საკმაო რაოდენობით არა აქვთ მავთული და ცემენტი (მარტო მავთული 147 ტონა აკლიათ), და თუ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატმა ამ საქმეს ახლავე არ მიაქცია ყურადღება, გეგმების დროულად შესრულებას საფრთხე მოელის.

მდინარე ცხენისწყლის სამუშაოებზე რაიონული გაზეთი „სოციალისტური შეტევა" სისტემატურად უშვებს სპეციალურ ფურცლებს, ცალკე სამუშაო უბნებზე აწყობს გამსვლელ რედაქციას.

გ. სიხარულიძე

პარტიული ცხოვრება

ღრმად ეუფლებიან წარმოების ეკონომიკას

XVIII სრულიად-საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა გადაჭრით შემობრუნდნენ მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხებისაკენ. კონფერენციის ამ მითითების განხორციელების საქმეში თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა.

პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ხორცკომბინატის საამქროები და ეზო გაიწმინდა წლობით დაგროვილი ხარახურისაგან, საამქროებში დამყარდა სისუფთავე და წესრიგი. ამას გარდა შესწავლილ იქნა ყოველგვარი ქონების, მოწყობილობისა და მასალების აღრიცხვის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ კომბინატს გააჩნდა დაზგები, მანქანები და სხვა მოწყობილობის დიდი რაოდენობა, რომელიც მას არ სჭირდებოდა. ზედმეტი მოწყობილობა და მანქანები გადაეცა საქ. სსრ რძისა და ხორცის მრეწველობის სახალხო კომისარიატს. უკვე გატანილია კომბინატიდან 16.000 მანეთზე მეტი ღირებულების მოწყობილობა.

პარტბიურომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე ელენერგიის, ორთქლის, წყლის და სხვ. მომჭირნეობით ხარჯვის საქმეს. ეს საკითხი განხილულ იქნა პარტიული ორგანიზაციის მიერ და დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი საამქროებში ელენერგიის, ორთქლის და სხვ. ხარჯვის აღრიცხვის დაყენების შესახებ. ამ საკითხის მოწესრიგება უთუოდ დააინტერესებდა საამქროთა ხელმძღვანელებს, მიაჩვევდა მათ ენერგიის მომჭირნეობით ხარჯვას, რაც ხელს შეუწყობდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ადმინისტრაციამ დღემდე ვერ შესძლო აღრიცხვის სათანადო მოწყობილობის შეძენა.

ხორცკომბინატის პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო სერიოზულ ყურადღებას აქცევენ წარმოების ნარჩენების მაქსიმალურად გამოყენებას, ადგილობრივი რესურსების ბაზაზე ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებას. კომბინატში ფართო მოხმარების საგნების გამოშვებაზე სპეციალურად 8 საამქრო მუშაობს. ამ საამქროთა მუშაობას თვით პარტბიუროს მდივანი ამხ. კ. ცეცხლაძე ხელმძღვანელობს. ეს საამქროები მრავალი სახის ფართო მოხმარების საგნებს უშვებენ (ღილებს, სადურგლო წებოს, პეპსინს (საკვეთოს), საპნის მატყლს, ბავშვის ფეხსაცმელს და სხვ.).

პარტბიურო კონკრეტულად ეხმარება ამ საამქროებს მუშაობის უკეთ დაყენებაში. წინათ ღილების საამქროს პროდუქცია ნაკლებად საღდებოდა. პარტბიურომ შეისწავლა ეს საკითხი. გამოირკვა, რომ ღილები ნაკლები ხარისხის და თანაც ძველი ფასონისა კეთდებოდა. გარდა ამისა ისინი ძვირი ჯდებოდა. პარტბიუროს დადგენილების საფუძველზე შეიცვალა ღილების წარმოების მეთოდი, დაზუსტდა ტექნოლოგიური პროცესი, შეიცვალა ასორტიმენტი, შემოღებულ იქნა ახალი სტანდარტები (მამაკაცის კოსტუმის ღილები). ყველა ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად მკვეთრად გაუმჯობესდა ღილების საამქროს პროდუქციის ხარისხი, საგრძნობლად შემცირდა თვითღირებულება, ათვისებულ იქნა აგრეთვე სავარცხლების კეთება. ახლა ამ საამქროს პროდუქცია შეუფერხებლად საღდება.

თბილისის ხორცკომბინატის პარტორგანიზაციაში 124 კომუნისტი ირიცხება. მათგან 70 კაცი უშუალოდ წარმოებაში მუშაობს. გეგმებს ყველა მათგანი ასრულებს, ნაწილი კი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მისაბაძ მაგალითებს იძლევა. მაგალითად, სასაკლაო საამქროს კომუნისტები შ. კბილაშვილი და ს. ბიჩიანი გეგმებს 120-130 პროცენტით ასრულებენ. საძეხვე საამქროში კომუნისტები ძმები ა. და გ. დოლენჯაშვილები მიცემულ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

კარგად მუშაობენ კომუნისტი ოსტატები ვ. რაზმაძე — სასაკლაო საამქროში, გ. ხულუზაური — საძეხვე საამქროში, ბ. შეხტერი — ღილების საამქროში და სხვ. ისინი თვითონაც ენერგიულად მუშაობენ და სხვებსაც ასწავლიან, ეხმარებიან მუშაობაში.

კომუნისტმა ამხ. ხულუზაურმა შემოიტანა წინადადება „სასისკის" დასატენი მანქანის გადაკეთების შესახებ. მისი წინადადების გატარებით მანქანის მუშაობის ნაყოფიერება 100 პროცენტით იზრდება. ამ წინადადების რეალიზაცია საგრძნობ ეკონომიას მისცემს წარმოებას.

პარტბიუროს წევრმა ამხ. პ. აბრამოვმა წამოაყენა წინადადება ძვლების ნარჩენებისაგან წებოს წარმოების მოწყობის შესახებ. ამ წინადადების განხორციელებას ზედმეტი ხარჯები თითქმის არ გამოუწვევია. ამისათვის გამოყენებულ იქნა წებოს უკვე არსებული საამქრო, მხოლოდ დაემატა ზოგიერთი მოწყობილობა, რაც ადგილობრივად იქნა გაკეთებული. წინათ ძვლების ნარჩენი ტონა 130 მანეთად იყიდებოდა. ახლა კი ზედმეტი ხარჯების გაუწევლად ამ ნარჩენების გამოხარშვით მიღებული წებო (იხმარება სადურგლო და ფეხსაცმლის წარმოებაში) იყიდება ტონა 10.000-11.000 მანეთად და წარმოებას აძლევს წელიწადში 45-47 ათას მანეთ წმინდა შემოსავალს.

იმ მიზნით, რომ კომუნისტები, კომბინატის პარტიული და სამეურნეო კადრები უკეთესად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, უფრო ნაყოფიერად იზრუნონ მისი საჭიროებისათვის, — პარტბიუროს ინიციატივით მოეწყო წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი კურსები. კურსებზე მეცადინეობს 35 ამხანაგი. მოწყობილია ორი ჯგუფი ქართულ და რუსულ ენებზე. კურსების სამეცადინო პროგრამა ითვალისწინებს 30 საათს. აქედან საწარმოო დაგეგმვის საკითხებს დათმობილი აქვს 8 საათი, აღრიცხვის დაყენების საქმეს — 6 საათი, თვითღირებულების საკითხს — 8 საათი და შრომის ორგანიზაციის, ტექნორმირებისა და ხელფასის საკითხებს—8 საათი.

ამასწინათ პარტბიურომ განიხილა კურსების მეცადინეობის მიმდინარეობის საკითხი და მიიღო პრაქტიკული ზომები მეცადინეობის ხარისხის ასამაღლებლად, კერძოდ, შესცვალა რამდენიმე ლექტორი უფრო ძლიერი ამხანაგებით.

ხორცკომბინატის პარტბიუროს მიღწევებთან ერთად ნაკლოვანებებიც აქვს მუშაობაში. ამის შესახებ ილაპარაკეს კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. კომუნისტების მიერ შემოტანილი საქმიანი წინადადებები საფუძვლად დაედო დადგენილებას, რომელიც მიიღო კრებამ. პარტბიურო ენერგიულად მუშაობს არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად. კერძოდ, თვალსაჩინოდ გაძლიერდა ხელმძღვანელობა და დახმარება საამქროთა პარტორგანიზაციებისადმი, რამაც ხელი შეუწყო მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

ლ. ჯავახაძე

ხაშური. საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის პროპაგანდისტი ბ. ნანეიშვილი პარტკაბინეტში ემზადება ლექციისათვის.
ფოტო ნ. ვართანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაისი" ოდესის საოპერო თეატრში. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) უსსრ დამსახურებული არტისტი მ. ბემი მაროს როლში, მსახიობი ო. პლეხანოვა ნანოს როლში; მ. დეინარი (მარცხნივ) ცანგალას და მ. სემენიოტა—კიაზოს როლებში.

„დაისი" ოდესის საოპერო თეატრში

ოდესის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა 28 მაისს სეზონის უკანასკნელ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ზაქარია ფალიაშვილის „დაისი". თეატრის მიწვევით ოპერა დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ალ. წუწუნავამ, ცეკვები — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჯავრიშვილმა.

სპექტაკლის მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობს უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ს. სტოლერმანი, რომელიც დიდხანს მუშაობდა დირიჟორად თბილისის საოპერო თეატრში, კარგად იცნობს ქართულ მუსიკას და ზ. ფალიაშვილთან ერთად მონაწილეობა მიუღია „დაისის" პირველ დადგმაში თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე.

სპექტაკლი მხატვრულად გაფორმებულია ახალგაზრდა ოდესელი მხატვრის ა. სალმანის მიერ. მთავარ როლებს ასრულებდნენ უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი მ. ბემი (მარო), ნ. ტოპჩი (მალხაზი), მ. სემენიუტა (კიაზო), ო. პლეხანოვა (ნანო), მ. დეინარი (ცანგალა), ი. კრემნევი (ტიტო) და მოცეკვავენი კარსავინი, ტერეხოვი, ცხომელიძე და გონტა.

პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. პირველი სამი სპექტაკლის ბილეთები ჯერ კიდევ პრემიერამდე გაიყიდა.

ოდესის თეატრის კოლექტივმა ქართული ხელოვნების ოსტატთა დახმარებით დაუვიწყარი სპექტაკლი შექმნა. მეორე აქტის შემდეგ უკრაინის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის თავმჯდომარე ქ. დანკევიჩი მაყურებელთა და თეატრის კოლექტივის სახელით მხურვალედ მიესალმა „დაისის" დამდგმელს ოდესის თეატრში საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ალ. წუწუნავას, სპექტაკლის მუსიკალურ ხელმძღვანელს უსსრ სახალხო არტისტს ს. სტოლერმანს და მხატვარს ა. სალმანს.

თეატრმა მრავალი მისასალმებელი დეპეშა მიიღო, მათ რიცხვში კიევის ტ. შევჩენკოს სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისაგან. მქუხარე ტაშით შეხვდნენ დამსწრენი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის დეპეშის გამოქვეყნებას. სიტყვები „გაუმარჯოს უკრაინისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობას" ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმა ხალხთა ურყევი მეგობრობის ორგანიზატორს — დიდ სტალინს.

„დაისის" პრემიერა ოდესის უკრაინულ საოპერო სცენაზე პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

აღსანიშნავია, რომ „დაისი" მესამე ქართული ოპერაა, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში დაიდგა უკრაინულ სცენაზე.

მშრომელთა დეპუტატების ოდესის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელოვნების საქმეთა განყოფილების უფროსი ამხ. კრავჩენკო „დაისის" დადგმის გამო სპეციალურად გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნავს, რომ „ოდესის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის უკანასკნელმა პრემიერამ — გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისმა" ერთხელ კიდევ ცხადჰყო თეატრის მაღალი მხატვრული შესაძლებლობანი და მისი დიდი იდეურ-შემოქმედებითი გამარჯვების მაჩვენებელი გახდა".

ამასთან დაკავშირებით ხელოვნების საქმეთა განყოფილებამ მადლობა გამოუცხადა თეატრის მუშაკთა კოლექტივს, რომელიც მონაწილეობას იღებდა „დაისის" სპექტაკლში, და საქართველოდან სპეციალურად მიწვეულებს ალ. წუწუნავას და დ. ჯავრიშვილს.

ახალი წიგნები

„სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია"

დაიბეჭდა და გამოვიდა სერგი მაკალათიას მონოგრაფია: „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია". წიგნში გაშუქებულია სამეგრელოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკ. 70-იან წლებამდე. მასში აგრეთვე აღწერილია ეთნოგრაფიული სამეგრელო მისი დამახასიათებელი ჩვევებითა და ყოფა-ცხოვრებით. წიგნი შეიცავს 400 გვერდს, მასში მოთავსებულია 72 სურათი და ოთხი რუკა.

წიგნი გამოსცა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებამ და ღირს 25 მან.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

დამნაშავენი მიცემულნი არიან პასუხისგებაში

რედაქციაში შემოსული იყო მამხილებელი წერილი თელავის რაიონის სოფ. ზემო-ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ფულადი სახსრების მითვისებისა და განიავების შესახებ.

კორესპონდენცია გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომს.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ცირეკიძე გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ბრალდებანი დადასტურდა.

სოფ. ზემო-ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი მოანგარიშე ა. ბეწუკელი მიცემულია პასუხისგებაში, მოხსნილია მოანგარიშის თანამდებობიდან ნ. გელდიაშვილი და ისიც მიცემულია სასამართლო პასუხისგებაში.

ამ დღეებში მოხდება კოლმეურნეობის გამგეობის გადახალისება და კონკრეტულად დამნაშავე სხვა პირები სათანადოდ იქნებიან დასჯილნი.

პროფ. კონსტ. კაპანელი

ლერმონტოვი და ბარათაშვილი

ფეოდალური მონარქიის სალტეები მაგრად ჰქონდა მოჭერილი საზოგადოებას, ხალხს, ინტელიგენციას; ყოველგვარი მოძრაობა თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისათვის იწვევდა ფეოდალური რეაქციის წყრომასა და რისხვას.

დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში ისმოდა ფეოდალური ყოფა-ცხოვრების ბორკილების მსხვრევა, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის ხმა, თავისუფლებისათვის მებრძოლების თავგანწირული ძახილი შორეულისადმი სიყვარულისა, ადამიანობისა და ვაჟკაცობისათვის; საფრანგეთის რევოლუციას ამოჰყვა რუსეთში დეკაბრისტების მოძრაობა. დეკაბრისტების მოძრაობა, მართალია, მალე დამარცხდა როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, მაგრამ ამ მოძრაობის მიერ გამოწვეული საზოგადოებრივი განწყობილება თავისი პროტესტით ძველი რუსეთის წინააღმდეგ მტკიცდებოდა მასაში და თავის გარშემო იკრებდა მოწინავე საზოგადოებას, მისი ინტელიგენციის რიგებს; ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში, ციმბირში, ამიერ-კავკასიასა და საქართველოში დეკაბრისტების აჩრდილით შეშინებული იყო ბიუროკრატია: ნიკოლოზ პირველმა, როდესაც პუშკინი საქართველოში ჩამოვიდა, საიდუმლო ბარათი გამოუგზავნა ამიერ-კავკასიის მმართველს და მეფის ნაცვალს პასკევიჩს, რათა თვალყური ედევნებინა პუშკინისათვის, რომ პუშკინი არ დაახლოვებოდა კავკასიაში მყოფ დეკაბრისტებს, ჩაადაევის სული ტრიალებდა რუსეთის საზოგადოებაში და გავლენას ახდენდა რუსეთის ლიტერატურაზე: საზოგადოებაში იქმნებოდა ერთგვარი **ნეოდეკაბრისტული** მოძრაობა, რომელიც ვერ ითმენდა ძველ, დახავსებულ ყოფა-ცხოვრებას და მონარქიის პოლიტიკას; ასეთ პირობებში, ასეთ საზოგადოებრივ-ისტორიულ გარემოცვაში დაიბადა რუსეთში მიხეილ ლერმონტოვი, ხოლო საქართველოში—მისი სულიერი მეგობარი ნიკო ბარათაშვილი. ბარათაშვილი იცნობდა ლერმონტოვის ნაწერებს; თვითონ ბარათაშვილი იხსენიებს ლერმონტოვის ლექსს—«И скучно, и грустно».

ლერმონტოვი და ბარათაშვილი ერთნაირი სულიერი განცდის პოეტები არიან და ორივეს თითქმის ერთი და იგივე ბედი ეწია. ამ ორ დიდ ადამიანსა და პოეტს ერთმანეთთან ბევრი რამ აქვს საერთო.

ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პირად ცხოვრებას პატარაობიდანვე ახასიათებს ფეოდალური ოჯახითა და საზოგადოებით უკმაყოფილება. მათი მომწიფების პერიოდში მათი უკმაყოფილება გადადის აშკარა საბრძოლო განწყობილებაში, ფეოდალური ოჯახისა და საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აქ იწყება ორივეს შემოქმედებაში **„ნეგაციური"** პერიოდი და დემონიზმის იდეა: მშვენივრად აქვთ ლერმონტოვსა და ბარათაშვილს მოცემული, თუ როგორ იბადება და იზრდება ადამიანის სულიერ განწყობილებაში **დემონიზმის** განსახიერება. ბარათაშვილი თავისი მდიდარი შინაარსის ლექსში „სულო ბოროტო", ეგრე ეკითხება ბოროტებას:

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?"

ბარათაშვილი ამჩნევს, რომ ადამიანი ქვეყნად იბადება კეთილი განწყობილებით, წრფელი, პატიოსანი სურვილებით, ჰუმანიური მიდრეკილებით, მაგრამ ბოროტება ადამიანის კეთილ განწყობილებას უარჰყოფს, დასცინის ადამიანის კეთილსა და პატიოსან განზრახვებს. ბარათაშვილს დასმული აქვს საინტერესო საკითხი — საკითხი ადამიანის ზნეობრივი თვისების შესახებ; ბარათაშვილი ადამიანის ზნეობრივ თვისებაში მხოლოდ იმას ხედავს, რაც რეალური ცხოვრების პირობებში იქმნება, რაც ამქვეყნიური და საზოგადოებრივია. ბარათაშვილის მიხედვით ზნეობრივი სამყარო იმთავითვე კი არ არის მოცემული, არამედ ადამიანთან ერთად ჩნდება და ადამიანის პიროვნების გაფორმებასთან ერთად იღებს გარკვეულ თვისებებს. ბარათაშვილის ლექსიდან სჩანს, რომ ახალგაზრდობისას ადამიანი გულკეთილი, პატიოსანი და ნაზია. მას შემდეგ, რაც ადამიანი გაივლის ცხოვრების მოედანს, საზოგადოებრივ ვითარებას, სოციალ-ოჯახურ გავლენას, ადამიანის მე უფრო და უფრო ფარულ გამოსახულებას იღებს; ადამიანი, როგორც ასეთი, უფროდაუფრო თახსირდება. მაშასადამე, ადამიანის გამაფორმებელი, მისი ფსიქიურ-ზნეობრივი თვისებების გამომწვევი ყოფილა საზოგადოება, კლასობრივი გარემოცვა, სოციალური არე. აქედან, ცხადია, ადამიანი თავისი ფსიქიური, გონებრივი და ზნეობრივი მხარეებით ზეემპირიული და ზესოციალური მოვლენა როდი არის, არამედ უფრო-სად საზოგადოებრივი, ისტორიული, ოჯახური ყოფა-ცხოვრების ნაშედეგარი. პოეტს ეჩვენება ბოროტი სული, რომელიც იწვევს მასში აღშფოთებას, რომელიც ჰკლავს, ფეხზე ქვეშ თელავს მის პიროვნებას.

თხუთმეტი წლის ლერმონტოვი, უკმაყოფილო ოჯახურ-საზოგადოებრივი გარემოცვით, ფეოდალური რეაქციის მძიმე პირობებით აღშფოთებული ლაპარაკობს: «В душе моей как в океане, надежд разбитых груз лежит». ჩემს სულში, — ამბობს ლერმონტოვი, — გაცრუებული (გატეხილი) იმედების ტვირთი ძევსო; რა ტვირთია ეს? ხომ არ მოგვაგონებს ეს ბარათაშვილის ბოროტი სულით დაღუპულ ზრახვებსა და იმედებს? მართლაც, როგორც სხვაგან, ისე აქაც—ორი დიდი სხვადასხვა ნაციისა და ისტორიული მემკვიდრეობის პოეტი ერთი და იგივე განწყობილებით ებრძვის ფეოდალურ საზოგადოებას, მის ფორმალიზმსა და სულიერ სიცარიელეს. ლერმონტოვი რუსულ ნიადაგზე, ბარათაშვილი ქართულ ნიადაგზე, მაგრამ ორივე ფეოდალურ-პატრიარქალურ გარემოცვაში ებრძვიან ჩამორჩენილობას, უკულტურობას, ბოროტებას, ფეოდალური ყოფა-ცხოვრების სისაძაგლესა და სიცარიელეს; ლერმონტოვსა და ბარათაშვილს ერთმანეთთან აერთებს სულიერი სინაზე, რომელიც ვერ ურიგდება მძიმე საზოგადოებრივ გარემოცვას და ყველაფრის წარმავალობას. ორივეს აწუხებს ფეოდალური საზოგადოების ველური გარემოცვა და იდეა წარმავალობისა. აქედან ლერმონტოვისა და ბარათაშვილის სულიერ განცდაშია **ზიზღი აწმყოსადმი და ღრმა სევდა**, გამოწვეული წარმავალობის იდეით: ორივეს განწყობილებას აქვს უაღრესად პროგრესიულ-რევოლუციური მნიშვნელობა.

ბარათაშვილმა და ლერმონტოვმა ზურგი შეაქციეს ფეოდალურ საზოგადოებას, მის ოჯახს, ნათესაობასა და სიყვარულს, მის ყოველდღიურ ვითარებას — ყოფა-ცხოვრების წესებს, ეკლესიას.

ლერმონტოვის დროს რუსეთის მმართველი ნიკოლოზ პირველი იყო ფეოდალური რეაქციის და ბნელი საზოგადოებრივი ცხოვრების განმტკიცების წინამძღოლი. ნიკოლოზ პირველი ცდილობდა, რომ მის სახელმწიფოში ადგილი არ ჰქონოდა არავითარ სოციალურ-მეცნიერულსა და კულტურულ მოძრაობას; კულტურული ზრდის შეჩერების მიზნით ნიკოლოზ პირველმა განიზრახა უმაღლესი სასწავლებლების დახურვა და ამისათვის განათლების მინისტრს — გრაფ უვაროვს დაავალა უნივერსიტეტის დახურვის პროექტის დამზადება. ნიკოლოზ პირველს ეშინოდა დეკაბრისტების მოძრაობისა და რევოლუციის მობრუნების. ამ მიზნით ნიკოლოზ პირველი ამტკიცებდა ხალხში, მასაში რელიგიასა და ცრუმორწმუნეობას, მეფის პოლიტიკა ჰქმნიდა მძიმე საზოგადოებრივ-სულიერ განწყობილებას, სპობდა მომავლის ყოველგვარ იმედებს და პიროვნებებისათვის ამზადებდა აუტანელ ოჯახურ-საზოგადოებრივ პირობებს.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ლერმონტოვი გაურბის საზოგადოებას, და როგორც ფაუსტი, გარბის ბუნებისაკენ, რომელსაც ერთვის მთელი თავისი განცდებით ორგანიულ-ესთეტიკური განწყობილებით და მისწრაფებებით. თავის შესანიშნავ ლექსში: «Когда волнуется желтеющая нива» ლერმონტოვი ახასიათებს ბუნების უდიდეს დამამშვიდებელ ესთეტიკურ გავლენას ადამიანის სულზე, ხასიათზე, განწყობილებაზე. აქ ბაირონ-ბარათაშვილისებურად ლერმონტოვი გვისურათებს, თუ რა პირობებში წყნარდება მისი სულიერი ღელვა და იშლებიან ნაოჭები სახეზე.

ლერმონტოვი იძლევა ადამიანზე ბუნების გავლენის ანალიტიურ მიმოხილვას და მოვლენების ზუსტი დასახელებით გვეუბნება, თუ როგორი ბუნებრივი გარემოცვა უნდა ჰქონდეს მას, რომ შეიცვალოს სულიერად, განწყობილებით და შემდეგ ფიზიკურადაც გარდაიქმნას ადამიანი. ლერმონტოვის მტკიცებით არა მარტო სულიერად იცვლება ადამიანი, არამედ ფიზიკური გამომეტყველებაც სხვაგვარი იქმნება: „ნაოჭები სახეზე იშლებიან", როდესაც ადამიანი უახლოვდება ბუნებას, სტიქიებს, „აყვავებულ ყანას", „ღამის ნამით დაცველებულ ბუჩქს", „ხევში მოჩუხჩუხე ცივ წყაროს", რომელსაც „მოაქვს ამბავი მშვიდობიანი ქვეყნიდან". ლერმონტოვი წარმართულად შეყვარებულია ბუნების სილამაზეს, სისუფთავეს, სისველეს. გვიხასიათებს რა თავის გმირს პეჩორინს, ლერმონტოვი ამბობს, რომ პეჩორინი ერთხელ გადმოვარდა ცხენიდან. „დაეცა სველ ბალახზე და როგორც ბავშვი ატირდა". პეჩორინი იგივე ლერმონტოვია. ლერმონტოვს, როგორც ბაირონსა და ბარათაშვილს, ბუნება უყვარს მთელი თავისი წარმართული განწყობილებით, ფსიქიური აღელვებით, გულით, სულით. როგორც შელლი, ლერმონტოვი გრძნობს სულიერ ნათესაობას ბუნებასთან. ლერმონტოვში ძლიერია სურვილი გაერთიანდეს სტიქიებთან, მთებთან, ზღვასთან. 1832 წ. 28 აგვისტოს მ. ა. ლოპუხინისადმი მიწერილ ლექსში ლერმონტოვი ნაზი მელოდიით გადმოგვცემს თავის სულიერ სინაზეს.

ამ ლექსში, რომელიც დაწერილია პეტერბურგში, ღამე, წყალდიდობის დროს, ლერმონტოვს არ ავიწყდება ბუნების წიაღში, სულიერი სიმშვიდისა და ბედნიერების წუთებში, დატანჯული ადამიანები; პოეტი გულთბილად ამბობს: «К моей студеной груди я б страдальцев прижимал».

ლერმონტოვი პირველ იანვარს დაწერილ ლექსში გამოსახავს ზიზღს ფეოდალური საზოგადოებისადმი. პოეტი, გარემოცული მუსიკით, ცეკვით, „დაზეპირებული სიტყვების ველური ჩურჩულით", ხედავს: «Мелькают образы бездушные людей, приличием стянутые маски». — ფეოდალური საზოგადოებისადმი ზიზღი აძლიერებს ლერმონტოვის სურვილს ჰპოვოს დასვენება და სულიერი სიმშვიდე ბუნების წიაღში, დაუსრულებლობაში, შორეულისადმი ტრფიალში. ებრძვის რა ნიკოლოზ პირველს, მის გარშემო მოფუსფუსე ბიუროკრატიას, უცხადებს რა თავის გულისწყრომას, წყევლა-კრულვას ძველ რუსეთს, „სისაძაგლით სახელგანთქმული წინაპრების მემკვიდრეებს", მზად არის ესროლოს ამ ბრბოს თვალებში თავისი „რკინის ლექსი, შემორწყული სიმწარით და ბრაზით", ლერმონტოვი მიიჩქარის ბუნებისაკენ იმ მიზნით, რომ ჰპოვოს ნავსადგური თავისი გამწარებული ცხოვრებისათვის, მღელვარე სულისათვის.

მსგავს მოვლენას ჩვენ ვხედავთ ნიკო ბარათაშვილის შემოქმედებაში. უარჰყოფს რა ფეოდალური საზოგადოებისა და ოჯახის გარემოცვას, სატრფოსთან დროს ტარებას, ალერსსა და მეგობრობის დაპირებებს, ბარათაშვილი, როგორც ლერმონტოვი, სავსე ბრაზით, მწარე გრძნობებით, სასოწარკვეთილებით, ბაირონისებურად გარბის საზოგადოებიდან, ოჯახიდან, ეკლესიიდან, წირვა-ლოცვიდან, ტრადიციიდან მთაწმინდისა და მტკვრის მიდამოებში; მოსკოვის ქუჩის ბილიკებით ადის მაღლა უდაბური და ვერანი ადგილებისაკენ, რომ დაივიწყოს ბოროტება, თვალთმაქცობა, შური და მტრობა ამ ქვეყნისა. ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე" გაშლილია მდიდარი სულიერი დრამა ისეთი ადამიანისა, რომელსაც უნდა გაარღვიოს ძველი ფეოდალურ-არისტოკრატიული და ეკლესიურ-მეშჩანური ყოფაცხოვრება, „სულო ბოროტო" ბარათაშვილისა ერთგვარი მიძღვნაა იმ სულიერი განწყობილებისადმი, რომელსაც ახასიათებს რომანტიული სასოწარკვეთა და რომელიც ბარათაშვილის უკანასკნელი დროის შემოქმედებაში იძლევა პროგრესიულ-რევოლუციურ მიმართულებას. ბარათაშვილის გაქცევის მიზეზი საზოგადოებიდან ალეგორიულად, სიმბოლიურად მოცემულია „სულო ბოროტოში", ხოლო სად სურს ბარათაშვილს შეაფაროს თავი საზოგადოებიდან გაქცევის შემდეგ, განმარტებულია ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე"; ელეგია „მთაწმინდა" ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიაც მოცემულია მწუხარებისა და ნუგეშის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მომენტები; საინტერესოა, რომ ამ ელეგიაში არსად არის მისტიური ლტოლვა, რელიგიური ექსტაზი. აქ არის ღრმა ორგანიულ-სულიერი ღელვა, მწუხარება, სევდა და მათი გაქარვება, შემსუბუქება ბუნებისადმი სიყვარულით. სოციალური ტკივილებისაგან და მწუხარებისაგან განთავისუფლებას ეძებენ ბარათაშვილი და ლერმონტოვი არა ეკლესიაში, არა წირვალოცვაში, არა ოფიციალური ღვთისმეტყველების მძიმე კატეგორიებში, არა ფეოდალური წარჩინებისა და ღრეობის არემარეში, არამედ ბუნების უსაზღვროებაში, სტიქიების ზრდასა და სილამაზეში, მთვარისა და მზის სხივებში, ღამის სიჩუმეში, მოძრაობისა და შორეულისადმი ტრფიალებაში.

სწორედ ამით ბარათაშვილმა და ლერმონტოვმა გაარღვიეს ნაციონალურ ლიტერატურათა საზღვრები და უპასუხეს შუასაუკუნეების გადმონაშთებს, — სქოლასტიკასა და ეკლესიას ადგილობრივი პირობების მიხედვით ისე, როგორც დასავლეთ ევროპის რომანტიკოსებმა და შტურმუნდდრანგული პერიოდის მწერლებმა უპასუხეს დასავლეთის ქვეყნების ფეოდალურ გარემოცვას; ბარათაშვილისა და ლერმონტოვის ნაწერებში ტრიალებს ის სული, რომელიც სხვა აქცენტით და თავისებურად წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში ბაირონისა და გოეთეს დემონიურ-ფაუსტურ განწყობილებაში.

ამით აიხსნება მებრძოლი სული ლერმონტოვისა და ბარათაშვილის. პოეტურ მეტყველებას აქვს გაძლიერებული ელვა, ენერგია, სიმკვეთრე, რომელთაც ვერ ვხედავთ ლერმონტოვისა და ბარათაშვილის წინაპრების პოეტურ მეტყველებაში. პუშკინის ეპოქის ენობრივი და ლექსობრივი მეტყველება ლერმონტოვმა აიყვანა ორატორულ-ფილოსოფიურ სიმაღლემდე. ლერმონტოვის პოეზიას მეტი დინამიკა აქვს, ვიდრე პუშკინის პოეზიას—ისე, როგორც ბარათაშვილის პოეზიას აქვს უფრო ძლიერი ექსპრესია, ვიდრე გრიგოლ ორბელიანის ლექსებს.

ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზია ცუდ სინამდვილესთან ბრძოლის პოეზიაა და ამ ბრძოლაში ორი დიდი პოეტი ერთი ლიტერატურულ-ესთეტიკური გზით მიდის. საზიზღარი სინამდვილიდან კაცობრიობის იდეალი შორეული მიზნებისაკენ, სილამაზისა და დაუსრულებლობისაკენ, რათა სძლიონ სულის შემხუთველი სინამდვილე ფეოდალური საზოგადოებისა, მისი ეკლესიისა და ემბლემატური ფორმალიზმისა.

ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ნაწერებში ირხევა მთელი დინამიკა კაცობრიობის მოწინავე ნაწილის ულრმესი სულიერი ტკივილებისა და განცდისა. ამ ლამაზი განცდის თამამი, რაინდული, ჰუმანიური გაბრძოლება განსაკუთრებით გასაგებია ჩვენი დიდი ეპოქის ადამიანებისათვის. ლერმონტოვისა და ბარათაშვილის სულიერი დრამა იმის მაჩვენებელია, თუ რა მძიმე იყო ადამიანის მდგომარეობა ძველი სოციალური ფორმაციების პირობებში და როგორ საჭიროებდა ისტორია თავისი მიმდინარეობის ძირეულ გარდაქმნას.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ინგლისის ყუმბარმშენთა შენაერთი ავიაგამანადგურებლების თანხლებით წარმატებით დაესხა თავს მტრის გემებს ლა-მანშში. ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს თანახმად, შემჩნეულია, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა დაახლოებით 1.400 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის გემს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გემი ჩაიძირა. ამ ფრენის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი ავიაგამანადგურებელი. ინგლისის ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

გუშინ, დღისით, გერმანიის ავიაცია უმნიშვნელო აქტივობას იჩენდა ინგლისის ტერიტორიაზე. 12 ივნისს, ღამით, მტრის თვითმფრინავთა მცირე შენაერთი აღმოსავლეთ ინგლისში გამოჩნდა. თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს. მაგრამ მიღებული არ არის ცნობები იმის შესახებ, რომ ბომბარდირებამ ზარალი ან მსხვერპლი გამოიწვია. ამ თავდასხმის დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის ერთი თვითმფრინავი.

იგივე სააგენტო გადმოგვცემს, რომ 12 ივნისს, ღამით ინგლისის თვითმფრინავთა შენაერთმა განსაკუთრებით ინტენსიური თავდასხმა მოახდინა რურის ოლქზე. თვითმფრინავებმა დიდძალი ყუმბარა დააყარეს ამ ოლქის სამრეწველო ობიექტებს, სადაც მრავალ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა. მოსპობილია რამდენიმე სამრეწველო შენობა. ამ ოპერაციიდან ინგლისის 6 ყუმბარმშენი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. ინგლისის ავიაციის სხვა რაზმებმა იერიში მიიტანეს დოკებზე ბრესტში (საფრანგეთი) და ანტვერპენში (ბელგია), აგრეთვე როტერდამის (ჰოლანდია) მახლობლად მდებარე ობიექტებზე.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 13 ივნისი (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ გუშინ მალტაში მომხდარი გააფთრებული საჰაერო ბრძოლის დროს იტალიის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ინგლისის „ჰარიკეინის" ტიპის 8 თვითმფრინავი. იტალიის 2 ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. ეგეოსის ზღვაში ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს როდოსის კუნძულს. საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მტრის ერთი თვითმფრინავი.

ჩრდილოეთ აფრიკაში, ტობრუკის ფრონტზე, აქტივობას იჩენდა ორივე მხარის არტილერია. იტალიის მოპიკირე ყუმბარმშენთა რაზმებმა ტობრუკთან არაერთხელ დაუშინეს ყუმბარა მტრის პოზიციებს, საზენიტო ბატარიებს, წაბანაკო ნაგებობებსა და ჯარს. მოსპობილია ერთი ბატარია; ბევრგან ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. იტალიის ერთერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. მტრის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარა ბენგაზსა და მის მიდამოებს.

აღმოსავლეთ აფრიკაში 11 ივნისს, დილით, ინგლისის ხომალდებმა ყუმბარა დაუშინეს ასაბს (ერიტრეა), რომელიც უკვე დასცალა იტალიის ჯარმა. ბომბარდირების შემდეგ ინგლისის ჯარმა დაიკავა ქალაქი. გონდარის რაიონში მტრის ყოველგვარი ცდა იერიში მიეტანა იტალიის პოზიციებზე ვოლხეფიტთან, მოგერიებულ იქნა და მტერმა დიდი ზარალი ნახა. მტრის ჯარის ნაწილებმა არტილერიისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლის დახმარებით იერიში მიიტანეს იტალიის გარნიზონზე დებრა-ტაბორში. იტალიელებმა შეტევა მოიგერიეს, კონტრიერიშზე გადავიდნენ და უკუაქციეს მტერი. იტალიის ავიაგამანადგურებლებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს მტრის ჯარის ნაწილებს, რომლებიც უკან იხევენ. ჰალისა და სიდამოს ოლქში იტალიის ჯარი კვლავ წინააღმდეგობას უწევს მტერს და საგრძნობ ზარალს აყენებს.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ბერლინი, 13 ივნისი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 12 ივნისს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები შეფრინდნენ დასავლეთ და ჩრდილოეთ გერმანიაში და ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები ჩამოაგდეს სხვადასხვა პუნქტში. სამოქალაქო მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

საჰაერო თავდასხმა მალტაზე

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო მალტის კუნძულიდან გადმოგვცემს ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ გუშინ, დილით, კუნძულს თავს დაესხა მტრის დიდძალი თვითმფრინავი. საზენიტო არტილერიამ და ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი. ნაშუადღევს ხელმეორედ სცადეს მალტაზე თავდასხმა, მაგრამ ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა უკუაქციეს მტრის თვითმფრინავები; ამასთან ზღვაში ჩამოგდებულ იქნა კიდევ 5 თვითმფრინავი.

თავდასხმა გიბრალტარზე

ნიუ-იორკი, 13 ივნისი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლა ლინეადან (ესპანეთი) გადმოგვცემს, რომ 12 ივნისს, დილით, უცნობი სახელმწიფოს თვითმფრინავთა ესკადრილიამ 5 ყუმბარა ესროლა გიბრალტარის სიმაგრეს. საზენიტო არტილერიის ცეცხლით თვითმფრინავები უკუქცეულ იქნენ. თავდასხმისაგან მიყენებული ზარალი გამოურკვეველია. ჰფიქრობენ, რომ ყუმბარები ნავსადგურის რაიონში დაეცა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ალხესირასიდან იუწყება, რომ გიბრალტარის საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა უცნობი სახელმწიფოს თვითმფრინავს, რომელიც სამჯერ გამოჩნდა გიბრალტარზე. ჰფიქრობენ, რომ ეს იყო საფრანგეთის თვითმფრინავი.

სურათზე (მარცხნიდან): თვითმფრინავი „პს-84", რომელიც მომსახურებას უწევს მოსკოვ-თბილისის ხაზს, სტარტზე; მგზავრები თვითმფრინავის კაბინაში; თვითმფრინავში მგზავრების ჩაჯდომის მომენტი. ფოტო ვ. ობლიაპინისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

თბილის-მოსკოვის ავიახაზით გადაყვანილია პირველი ათასი მგზავრი

შემოღებულია პირდაპირი ავიამიმოსვლა თბილის-ლენინგრადის ხაზით

მას აქეთ, რაც ახალი აერონავიგაციის სეზონი დაიწყო თბილის-მოსკოვის მაგისტრალურმა ხაზმა, სადაც მრავალადგილიანი ჩქაროსანი თვითმფრინავები „პს-84" მუშაობენ, მომსახურება გაუწია პირველ ათას მგზავრს. სეზონის დამთავრებამდე ამ ხაზით დაახლოებით 8.000 მგზავრი უნდა გადაიყვანონ.

შემოღებულია პირდაპირი ავიამიმოსვლა თბილისი-ლენინგრადი მოსკოვის გავლით. დილას რომ თბილისიდან მგზავრი გაფრინდება, ლენინგრადს ჩავა იმავე დღის 21 საათსა და 25 წუთზე.

თბილის-ლენინგრადის პირდაპირი ავიახაზით უკვე ისარგებლეს პირველმა მგზავრებმა.

პირველად დაწესდა პირდაპირი ავიამიმოსვლა თბილის-აშხაბადის ხაზით ბაქოში ღამის გათევით.

შემოღებულია აგრეთვე ავიამიმოსვლა თბილის-ასტრახანი ბაქოს გავლით.

(საქდესი).

დამთავრდა ესტრადის მსახიობთა კონკურსის პირველი ტური

12 და 13 ივნისს საქესტრადის საზამთრო თეატრში შესდგა ესტრადის მსახიობთა მეორე კონკურსის პირველი ტური, რომელშიც 50-მდე მსახიობმა მიიღო მონაწილეობა.

მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს იგზავნებიან: ვოკალისტები — ორდენოსანი ნ. ხარაძე, მ. შილდელი, ა. ვარდიაშვილი; მოცეკვავეები—უშვერიძე, დარახველიძე-ჩხაიძე, გავაშელი, თათრაძე-შუბაშუკელი-ხერხეულიძე; სალაპარაკო ჟანრი — კვანტალიანი-გომელაური, ნ. მაჭავარიანი.

16 ივნისს საქესტრადაში შესდგება საჩვენებელი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნული მსახიობები და იმერლიშვილი-დუმბაძე, შ. ვაშალომიძე, მ. მიქელაძე, დოდო და ნათელა ფოცხვერაშვილები და თ. თოიძე, ჩიხლაძე-ფალიაშვილი, ძაგნიძე-ჩხიკვაძე, პ. ჭიჭინაძე და ა. დოლეჟანოვი, რომლებიც ჟიურიმ აღნიშნა სავესტრადო წარმატებებისათვის.

ფოსტის მუშაკთა თათბირი

11 ივნისს თბილისში ჩატარდა ფოსტის მუშაკთა საქალაქო თათბირი, რომელზეც ფოსტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. ი. მონიავამ.

მომხსენებელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებენ ფოსტის მუშაობას. ამ ნაკლოვანებათა შედეგად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატმა საქართველოს საფოსტო ორგანოების მუშაობა 1941 წლის პირველ კვარტალში არადამაკმაყოფილებლად სცნო.

კამათის მსვლელობისას გამოვლინებულ იქნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მაგალითად, შრომის სუსტი დისციპლინის გამო რკინიგზის საფოსტო კანტორა ვერ ასწრებს კორესპონდენციების დამუშავებას, უყაირათო მუშაობის შედეგად იკარგება წერილები, სათანადო ყურადღება არ ექცევა კადრების შერჩევას, მოგვარებული არ არის ხელფასის საკითხი, ხშირია შემთხვევა, როცა კავშირგაბმულობის განყოფილებებს დეპეშები ცენტრალურ ტელეგრაფში წესით გათვალისწინებული 30 წუთის ნაცვლად სამი საათის შემდეგ მოაქვთ. სუსტად ხელმძღვანელობენ ფოსტის მუშაობას კავშირგაბმულობის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები, ფოსტალიონებს საწვიმრები არა აქვთ, რის გამო წვიმის დროს ფოსტალიონიც სველდება და კორესპონდენციაც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მაზმანიძემ (რკინიგზის საფოსტო კანტორის უფროსი), ერისთავმა (კავშირგაბმულობის მე-12 საქალაქო განყოფილების უფროსი), ცომაიამ (კავშირგაბმულობის მე-4 საქალაქო განყოფილება), რომიანმა, კასრაძემ (ფოსტის საექსპლოატაციო კანტორის უფროსი), სიჭინავამ (თბილისის ფოსტამტის დირექტორი), გურგენოვამ (კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვ.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. გოჩაშვილმა.

მწერალთა კავშირში

16 ივნისს, მწერალთა კავშირში (მაჩაბლის ქ. № 13) **სიკო ფაშალიშვილი** წაიკითხავს შექსპირის პიესის **„ჭირვეულის ცოლის მორჯულების"** თავის თარგმანს, რის შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ფიზკულტურის პარკის გახსნა

დღეს გაიხსნება და მუშაობას დაიწყებს ფიზკულტურის საზაფხულო პარკი (ყოფ. ვერის პარკი, სტალინის სახელობის სანაპირო, № 1), რომელიც თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის განკარგულებაშია.

პარკის გახსნის აღსანიშნავად გაიმართება შეჯიბრება ცურვაში, ტრამპლინიდან ხტომაში და ვატერპოლოში. პარკის მოედანზე მოეწყობა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები, შეჯიბრება კრივში და ფინალური შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში თბილისის პირველობაზე.

დაუკრავს ჯაზ-ორკესტრი ვ. რუდნის ხელმძღვანელობით.

პარკის გახსნა დანიშნულია საღამოს 6 საათისათვის.

რადიოგადაცემა დღეს

09.00—გაზეთ „პრავდის" მოწინავე; 09.25—კონცერტი; 10.00 — წერილები გაზეთებიდან; 10.30 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის; 11.30 — თბილისის ახალი ამბები; 11.50—თვითმოქმედი მხატვრული წრეების გამოსვლა; 12.30 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე (ნაწყვეტები კ. გამსახურდიას რომანიდან „დავით აღმაშენებელი"); 13.00 — უკანასკნელი ცნობები; 13.15 — პოპულარული კონცერტი; 17.00 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.05 — ინფორმაციები; 17.15—კონცერტი კოლმეურნეთა შეკვეთით; 18.00 — საუბარი თემაზე: „მივაღწიოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას"; 18.45 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი; 19.58 — დროის შემოწმება; 20.00 — უკანასკნელი ცნობები; 20.15—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე; 21.00 — გადაცემა ციკლიდან: „სტალინური პრემიის ლაურეატები მუსიკის დარგში" (სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჰაჯიბეგოვი); 21.30 — ტრანსლაცია საქესტრადის საზაფხულო თეატრიდან (ჯაზი კროლის და შულჟენკოს ხელმძღვანელობით); 00.30—უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან.

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(მესამე წლის გამოშვება)

წაუგებელი გამოშვება

მოგებათა პირველი ტირაჟის საცნობო ცხრილი

სერიებისა და ობლიგაციების ნომრებმა, რომლებიც ნაჩვენებია ცხრილში, მოიგო სესხის წაუგებელი გამოშვების ყველა 92 თანრიგში.

მოგების თანხაში შედის მომგებიანი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მან.	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მან.	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მან.
80064	1—50	150	87222	1—50	150	93611	1—50	150
80192	1—50	150	87228	1—50	150	93613	06*)	500
80329	20*)	500	87268	1—50	150	93625	1—50	150
80395	1—50	150	87343	1—50	150	93633	1—50	150
80498	1—50	150	87437	1—50	150	93700	1—50	150
80627	1—50	150	87453	20*)	1.000	93708	1—50	150
80861	1—50	200	87520	1—50	150	93969	1—50	150
80896	1—50	150	87553	1—50	150	94075	1—50	150
81050	1—50	150	87626	1—50	150	94236	1—50	150
81123	1—50	150	87738	1—50	150	94309	1—50	150
81158	1—50	150	88095	1—50	150	94396	1—50	150
81220	1—50	150	88096	1—50	150	94531	47*)	500
81251	1—50	150	88284	1—50	150	94558	1—50	150
81284	34*)	500	88321	05*)	1.000	94584	1—50	150
81434	1—50	150	88393	1—50	150	94627	1—50	150
81531	1—50	150	88399	1—50	150	94638	1—50	150
81638	17*)	500	88401	1—50	150	94717	16*)	500
81640	1—50	150	88659	1—50	150	94758	1—50	150
81689	1—50	150	88763	1—50	150	94988	1—50	150
81800	1—50	150	88842	10*)	500	95115	1—50	150
81860	1—50	200	88864	1—50	200	95140	1—50	150
81932	16*)	500	88941	1—50	150	95554	46*)	500
81986	1—50	150	88943	44*)	500	95598	48*)	500
82132	24*)	500	89017	06*)	500	95604	1—50	150
82151	07*)	500	89027	1—50	150	95742	1—50	150
82258	1—50	150	89152	48*)	500	95988	1—50	200
82290	1—50	150	89325	1—50	150	96089	1—50	200
82307	1—50	150	89441	46*)	500	96090	1—50	150
82338	1—50	150	89717	1—50	150	96293	1—50	150
82464	1—50	150	89789	1—50	150	96334	39*)	500
82747	48*)	500	89845	36*)	500	96356	1—50	150
82892	1—50	150	89894	1—50	150	96370	1—50	150
83041	13*)	500	90067	1—50	200	96450	38*)	500
83105	1—50	200	90202	1—50	150	96451	1—50	200
83209	1—50	150	90209	1—50	150	96506	48*)	500
83264	1—50	200	90543	1—50	150	96532	1—50	150
83315	1—50	150	90544	1—50	150	96750	1—50	150
83457	1—50	150	90800	1—50	150	96821	1—50	150
83492	1—50	150	90874	1—50	150	96865	1—50	150
83519	1—50	150	90938	1—50	150	97012	1—50	150
83650	1—50	150	90944	1—50	150	97265	1—50	200
83838	01*)	500	90989	1—50	200	97471	1—50	200
83858	1—50	150	91149	1—50	150	97512	1—50	150
84154	1—50	150	91205	1—50	150	97536	1—50	150
84281	05*)	500	91208	1—50	150	97575	1—50	150
84594	1—50	150	91214	1—50	150	97621	1—50	150
84766	07*)	500	91233	47*)	500	97641	1—50	150
84786	1—50	150	91294	1—50	150	97652	1—50	150
84799	1—50	150	91479	1—50	150	97661	32*)	500
84846	1—50	150	91487	1—50	200	97697	1—50	150
84914	1—50	150	91489	1—50	150	97755	1—50	200
85091	1—50	150	91596	1—50	150	97856	31*)	500
85177	42*)	500	91692	1—50	150	97872	1—50	150
85411	49*)	500	91742	16*)	500	97997	23*)	500
85440	1—50	150	91782	25*)	500	98009	1—50	150
85478	1—50	200	91885	25*)	500	98078	1—50	150
85513	1—50	150	91952	1—50	150	98154	1—50	150
85534	1—50	150	91953	1—50	150	98200	1—50	150
85627	1—50	150	92052	1—50	150	98346	1—50	150
85656	1—50	150	92115	1—50	150	98415	24*)	500
85820	21*)	1.000	92176	1—50	200	98484	16*)	500
85855	42*)	3.000	92271	1—50	150	98506	1—50	150
85914	1—50	150	92290	1—50	200	98508	30*)	500
86105	1—50	150	92312	1—50	150	98601	1—50	150
86253	1—50	150	92404	47*)	500	98614	1—50	150
86292	1—50	150	92445	1—50	150	98799	31*)	500
86294	26*)	500	92479	1—50	150	98832	08*)	500
86373	1—50	150	92488	1—50	150	99067	1—50	150
86484	47*)	500	92523	1—50	200	99120	1—50	150
86517	1—50	150	92750	1—50	150	99331	1—50	150
86529	03*)	500	92759	1—50	150	99352	08*)	500
86586	1—50	150	92805	41*)	500	99454	35*)	500
86644	49*)	1.000	92827	1—50	200	99727	1—50	150
86673	1—50	150	92834	37*)	500	99758	1—50	150
86717	1—50	150	92855	1—50	150	99877	1—50	150
86877	1—50	150	92905	1—50	150	99892	1—50	200
86910	1—50	150	93105	1—50	150	99911	1—50	150
86918	1—50	150	93362	1—50	150	99926	1—50	150
87031	36*)	1.000	93393	1—50	150	99946	42*)	500
87049	1—50	150	93449	12*)	500	99967	34*)	500

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 150 მან.

სტალინური პრემიის ლაურეატები ქუთაისში

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში ქუთაისის კულტურის სახლში გაიმართა სტალინური პრემიის ლაურეატების გიორგი ლეონიძისა და ლეო ქიაჩელის საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

სტალინური პრემიის ლაურეატებს მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ლალიაშვილმა. მოხსენებით თემაზე: „ლეო ქიაჩელისა და გიორგი ლეონიძის შემოქმედება" გამოვიდა შალვა აფხაიძე. ვ. გუგუშვილისა და გ. სამხარაძის სიტყვების შემდეგ ნაწყვეტი ლ. ქიაჩელის თხზულებიდან წაიკითხა მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა თ. ღვინიაშვილმა, გ. ლეონიძის ლექსი წაიკითხა ფრიადოსანმა პიონერმა როზა ჯანჯღავამ.

საღამოზე გამოვიდნენ სტალინური პრემიის ლაურეატები, ორდენოსნები ლ. ქიაჩელი და გ. ლეონიძე, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს შეკრებილთ.

დასასრულ მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მსმენელებმა კონცერტი გამართეს.

გ. ყურაშვილი

რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში

16 ივნისს, 2 საათზე, რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე დოც. ა. თავაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ხელოვნების მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის".

დასწრება თავისუფალია.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

17 ივნისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ქართულ ენაზე ჩატარდება მორიგი ლექცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან. თემა: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების შესახებ".

ლექციას წაიკითხავს ამხ. იმედაძე.

ლექციები

16 ივნისს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ხეთაგუროვის ქ., № 2) შესდგება ავიაციის პოლკოვნიკ ამხ. ორლოვის ლექცია რუსულ ენაზე, თემა: „ავიაცია თავდაცვაში".

შესვლა თავისუფალია.

17 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის შენობაში (საბჭოს ქ., № 134) შესდგება ამხ. სტურუას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „ბოლშევიკური პარტიის ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების გამტკიცებისათვის, ბრესტის ზავი, პარტიის VII ყრილობა".

შესვლა თავისუფალია.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „სურამის ციხე" (მე-34 აბ.), დღისით—„სურამის ციხე" (მე-31 აბ.).

კინოებში: რუსთაველის სახ., ოქტომბერი, დამკვრელი, კომკავშირელი (საზაფხულო) და ლუქსემბურგის სახ. — „სიმღერა სიყვარულზე", კომკავშირელი (ზამთრის), სპარტაკი, 26 კომ. სახ. (ზამთრის), კომინტერნი — „ფრონტელი მეგობარი ქალები", განთიადი — „ვალერი ჩკალოვი", ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „ქარი აღმოსავლეთიდან", ორჯონიკიძის სახელობის პარკი — „რუსლან და ლიუდმილა", ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „სიცოცხლის ფასი", დამკვრელი (დღისით) — „პირველი მაისი მოსკოვში", სპარტაკი—„ცამეტნი", 26 კომ. სახ. — „სტუდენტი", ლუქსემბურგის სახ. — „ციმბირელები", ოქტომბერი — „ვოლგა-ვოლგა".

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე **გ. ჯიბლაძე**

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატო)

15 ივნისს ესტრადაზე **კონცერტი** ვანო გოკიელის მონაწილეობით ჯაზ-ორკესტრის თანხლებით და ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი კ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით. დასაწყისი სად. 9 ს. 30 წ.

ცენტრალურ მოედანზე ყოველდღიურად **სამი სიმღერა** ფრენა 25-მეტრიანი ანძიდან დასაწყისი 9 ს. 15 წ.

საცეკვაო მოედანზე საერთო ცეკვები **ჯაზ-ორკესტრის** თანხლებით.

სამკითხველო დარბაზში საქართველოს ალპინისტთა მიღწევების გამოფენა ღიაა დილის 12-დან ღამის 12 ს-მდე. შესვლა თავისუფალია.

პარკში სასულე ორკესტრი ნ. ა. ქულტუხინის ხელმძღვანელობით. მასობრივი გართობანი ე. ბილანიშვილის ხელმძღვანელობით.

მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ საპარკო ატრაქციონები: ტირი, ოქროს თევზი, კარუსელი, საქანელა და სხვ.

სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის „გლავუნივერმაგის" თბილისის უნივერმაღი

მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისა და მოთხოვნილების სრული შესწავლის მიზნით თბილისის უნივერმაღი 15 ივნისს, საღამოს 7 საათზე, იწვევს

მომხმარებელთა კონფერენციას

საფეიქრო საქონლითა და შეკერილი ნაწარმით ვაჭრობის საკითხებზე.

მომხმარებლებისათვის ასორტიმენტის გასაცნობად თბილისის უნივერმაღი აწყობს საფეიქრო საქონლისა და შეკერილი ნაწარმის გამოფენას. თბილისის უნივერმაღის დირექცია სთხოვს მომხმარებლებს დაესწრონ კონფერენციას 15 ივნისს, საღამოს 8 საათზე და მონაწილეობა მიიღონ თავიანთი წინადადებებით.

ყორღანის ქ. № 7—მესამე სართული.

150 **დირექცია.**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

20 ივნისს უ. შექსპირი **მეფე ლირი** ტრაგედია 5 მოქმ. | 21 ივნისს მ. გორკი **მტრები** დრამა 3 მოქმ. | 22 ივნისს შ. დადიანი **გუშინდელნი** კომ. 3 მოქმ.

ბილეთები იყიდება თეატრისა და რაიონულ სალაროებში. თეატრის სალარო ღიაა დილის 10½-დან 2 საათამდე, სად. 6-დან 9½ საათამდე. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

15 ივნისს **კარმენ** ოდესის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის სსრკ დამს. არტ. ხ. ნ. დანჩენკოს მონაწილეობით.

17 ივნისს **რიგოლეტო**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 5 ივლისს, საღამოს 8 საათზე, დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

ი. ი. მიქაძე—ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „კოლოიდური აზოტის თიხის (ასკანგელის) ანალიზი და თვისებები".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ხ. ხ. ფილატოვი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ე. შიშნიაშვილი.

პ. დ. ცისკარიშვილი—ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ტუტე ხსნარებში მანგანატ—და პერმანგანატ იონების განსაზღვრა მათი ერთდროულად ყოფნისას".

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ჯ. ტანანაევი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი დ. ი. ერისთავი

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ქიმიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ინსტიტუტის დირექტორი მ. ე. შიშნიაშვილი.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ.წ. სეზონი

15 ივნისს 1 ს. მე-10 წუთ. **ლალები**

17 ივნისს **უკანასკნელი რაინდი**

დასაწყისი სად. 8 ს. 30 წ.

ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელ კურსებზე

(სამედიცინო, სტომატოლოგიური ინსტიტუტები და სახელმწიფო უნივერსიტეტი)

იხსნება ახალი ჯგუფები

მისამართი: მელიქიშვილის, 2, მე-57 საშუალო სკოლა ვერის ბაზრის პირდაპირ, მიღება საღამოს 7-დან 10 საათამდე.

12262 **დირექცია.**

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ.წ. სეზონი

15 ივნისს **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

17 ივნისს **რუი ბლაზ**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

დაკარგულია

„თბილტრიკოტაჟის" სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრის ამონაწერი, გაცემული თბილისის საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 12240

ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სახლის თანამშრომლები იუწყებიან

კალინიკა ზაქარიას-ასულ **ცინცაძის**

გარდაცვალებას. 12282

ქალაქის I საავადმყოფოს ექიმები ი. ცინცაძე, მ. ფურცელაძე, ა. თვალავაძე, გ. ჩარექიშვილი, გ. ადამია, ი. ცაგარელი, თ. ასანიშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, მ. ბიბილეიშვილი, ი. გობეჩია, შ. ლორთქიფანიძე, ს. ურუშაძე იუწყებიან

ლუციკა ნემსაძის

გარდაცვალებას. 12286

მე-35 საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური და ტექნიკური თანამშრომლები იუწყებიან

ლუციკა ალექსანდრეს-ასულ ნემსაძის

გარდაცვალებას. 12283

თბილისის დერმატოზისის და პროფილაქტიკური დისპანსერის რაზმის თანამშრომლები იუწყებიან

გიორგი ალექსანდრეს-ძე მესხის

გარდაცვალებას. 12279

სიძე ნიკოლოზ ევანია ცოლით ნინოთი, მაზლიშვილები ჭიჭიკო, ვალიკო, კუტუნა ცინცაძეები ცოლშვილით იუწყებიან

კალინიკა ცინცაძის

გარდაცვალებას, გამოსვენება 15/VI 2 ს. ხოშტარიას, 5. 12280

შვილები ოსანა, ერმილე, ავქსენტი, რძალი ეფემია, შვილიშვილები დალი, რომეო იუწყებიან

მილანდარი ივანეს-ასულ ასათიანი-ბუზუკაშვს

გარდაცვალებას, გამოსვენება 15/VI 1 ს. (ტაბუკი, ოქტომბრის, 6. დაკრძალვა ს. ხორშმი, საგურამოს სასაფლაოზე. 12231

ვარლამ იაშვილი შვილებით: დათიკო, ლალიკო, ვარდენ, თამარ და გრიშა იუწყებიან

კალინიკა ზაქარიას-ასულ ჩხეიძე-ცინცაძის

გარდაცვალებას. 12285

ბაღე კაკაბაძე, ვალიკო, ნანული, ჯიმშერ ტოგონიძეები იუწყებიან დედის და ბებიის

ანეტა ნიკოლოზის-ასულ კაკაბაძის

გარდაცვალებას, გამოსვენება 17/VI 6½ ს. მე-2 ირიბის, 17, პანაშვიდი 16/VI 8 ს. 12273

აბაშიძე, გაბაშვილი, გაბრიძე, ებრალიძე, ლაზრიშვილი, მიქაძე, მგელაძე, რამიშვილი, ხოფერია, დამიშიძე, წერეთელი იუწყებიან

კოტიკო ლუარსაბის-ძე ხუციშვილის

გარდაცვალებას. 12274

ბოჰგუა, ხუხუნაიშვილი, ჯიშვილები, არეფაძე, ჯიჭია, მესარქიშვილი, ძაგანია, კუტლაშვილი, ქავთარაძე, ურიდია, ქართველიშვილი, ცუკიოა იუწყებიან

კონსტანტინე ლუარსაბის-ძე ხუციშვილის

გარდაცვალებას. 12276

ძმები სიმონ, ოლიმპი, დები ანეტა, ვერონიკა, ნუცა, ოლია, თამარ, მერი, ლიზა, რძლები ივლია, ანიკო, სიძეები ილიკო, ანისიმე, იმნაიშვილი, ენუქიძე იუწყებიან

გიორგი ალექსანდრეს-ძე მესხის

გარდაცვალებას. 12277

შვილები გრიშა, თამარ, ირაკლი იუწყებიან დედის

კალინიკა ზაქარიას-ასულ ცინცაძის

გარდაცვალებას, გამოსვენება 15/VI 2 ს. ხოშტარიას, 5, ვაკის სასაფლაოზე. 12278

მიკრობიოლოგიის, ეპიდ. და ბაქტეროფაგის ინსტიტუტის ბრუცელოზის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ლუციკა ნემსაძის

გარდაცვალებას. 12258

შვილი პეპიკო, რძლები ავრელია, თამარ კორტიავა, მაშო, შვილიშვილები ვრიშა, რუსუდან, ზურაბ, ნანული, ინესა იუწყებიან

პელაგია კაპანაძე-ვაჩნაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა 17/VI 1 ს. კუტში (წულუკიძე). 12269

ბარბარე ლოლაძე და ვასილ ლოლაძე ცოლშვილით იუწყებიან

ივანე ნიკიტას-ძე კარლოვის

გარდაცვალებას, დაკრძალვა 15/VI 1 ს. ვაკის სასაფლაოზე. 12270

ვასო მესხი შვილებით, რძლები, სიძეები და შვილიშვილები იუწყება მეზობლების

გიორგი ალექსანდრეს-ძე მესხის

გარდაცვალებას. 12272

თამარ ჯაფელია, მორიან ლოლობერიძე, კოტე კობახიძე, მარო ოსიპოვა, პაშა გაბელია, მარო ჩაჩიაშვილი, ეტერა გოგიტიძე, ანეტა ცხენიძე იუწყებიან

შალვა საბეკიას

გარდაცვალებას, დაკრძალვა ს. კირცხში 17/VI. 12284

ცოლი ბარბარე, შვილი გრიგოლ ლასურაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ 15/VI, 5½ ს. ჰერაკლეს სასაფლაოზე დანიშნულია

ალექსი გრიგოლის-ძე ლასურაშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 12255

დედა მატრონა, დები ლიდა, შურინა, ძმა ბუტუტა, რძალი ლუბა, სიძე ბორის პაპასქიძე შვილებით იუწყებიან

შალვა თედორის-ძე საბეკიას

გარდაცვალებას, დაკრძალვა 17/VI ს. კიცხი (ხარაგაულის რ.). 12261

ბებია ანა, ბაბუა სასაკო ყურულაშვილები, დედა ნადია, მორუსია, საშა ქპრიით ჯანქუშვილები, ბიძა დავით ცოლით თამარით იუწყებიან

ნანი ქვლივიძის

გარდაცვალებას, გამოსვენება 15/VI, 3 ს. პეტრიაშვილის, 18. 12287

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან მარო ოქრუაშვილის მეუღლის

გიორგი მესხის

გარდაცვალებას. 12288

ექვია ლუარსაბია და საშა ძვანია იუწყებიან

კალინიკა ზაქარიას-ასულ ცინცაძის

გარდაცვალებას, გამოსვენება 15/VI 2 ს. ხოშტარიას, 5. 12275

ნინო, ვასილ, ნუცა, თამარ, ვასიკო, ანიკა ჭოხელიძეები, ოლია ქანდიაშვილი იუწყებიან სიძის

ჟორა ჯოჯიშვილის

გარდაცვალებას, გამოსვენება 15/VI 2 ს. გორი, შაუმიანის, 49. 12271

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40; ეკონომიურისა და გადამუშავ. მრეწველობის — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28. 1 უე 18245